წელიწადი მესამე ფასი 10 კაპ. კვირა, 26 თებერვალი, 1917 წ.

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადებათა ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 30 კ., უკანასკნელზე—20 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8 მ., 25×2 ღირს 10 მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ეღირ. მეტი. დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.

№ 45 ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი № 45

გაზეთი

„საქართველო“

ყოველკვირეულ სურათებიან დამატებით ღირს:

მთელის წლით—15 მ., $^1/_2$ წლით—9 მ., 3 თვით—5 მ., 1 თვით—1 მ. 80 კ.

წლიურ ხელის მოწერის ფასი შეიძლება ნაწილ-ნაწილად იქნას გარდახდილი შემდეგის წესით: ხელის მოწერის დროს—7 მ.; 1 მარტისთვის 5 მ. და 1 ივნისისათვის 3 მ. მისამართის გამოცვლისათვის ქალაქგარეთელმა ხელის მომწერმა უნდა წარმოადგინოს 50 კ. ფოსტის მარკით.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4, ანუ ფოსტის ყუთი № 76 (почт. ящикъ № 76).

კანტორა ღიაა: დილით 9—3 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე.

1 მარტიდან წლის ბოლომდე გაზ. „საქართვ.“ ეღირება 12 მ.—50 კ.

ვისაც სურს ხელისმოწერის ფასის განაწილებით ისარგებლოს, ხელის მოწერისათანავე 5 მ. 75 კ. უნდა წარმოადგინოს, დანარჩენი კი 1 მარტს და 1 ივნისს, უკვე გამოცხადებულის საერთო წესის სიხედვით.

რედაქტორი: სანდრო შანშიაშვილი.

გამომცემელი: ამხანაგობა „საქართველო“.

ხარფუხის საზოგადო კლუბის

მამასახლისთა საბჭოს დაადგინა:

ნიკო გოცირიძის 20 წლის სცენაზედ მოღვაწეობის აღსანიშნავად, გაუმართოს 26 თებერვალს, 1917 წ., საიუბილეო დღესასწაული და წარმოდგენა კლუბის დარბაზში.

წარმოდგენილი იქნება მოლიერის კომედია

ტარტიუფი ანუ მუზმუზელა

ნ. გოცირიძის მონაწილეობით, ორგანის როლში.

(2—593—2)

სახალხო სახლი. კვირას, 5 მარტს,

გ. ქუჩიშვილის დილა

I იუმორი: შოლტი—„ბრუდე სარკე“

II პოეზია:

სანდრო შანშიაშვილი.
ვ. რუხაძე.
ს. რემონიძე.
ვ. საათაშვილი.
გ. შინატეხელი.
ვეფხო-ფშაველა.
გ. ქუჩიშვილი.

III მუსიკა:

ილ. ქურხული, მოხეტიალე მემუსიკე.
ძმ. კავსაძენი, „ტრიო“ და სხ.
ი. სალირაშვილი, თარი.

სცენები:

ნ. გოცირიძე.
შ. საფაროვი.
სალაყაია.

დასაწყისი დღის 12 საათზე. ◆ ადგილების ფასი 15 კ-დან 2 მანეთამდე.

ბილეთები იყიდება კანტორა „განათლებაში“, ოლღას ქ № 6 და დილის დღეს სახალხო სახლში.

გამგე დილისა ვ. საათაშვილი.

(1—594—1)

ახალი კლუბი

ერთი კვირის პროგრამმა

ორშაბათს

სინემატოგრაფი, სიმებიანი ორკესტრი

სამშაბათს

ოპერეტა

ბილეთების ფასი 3 მან.

ოთხშაბათს

სინემატოგრაფი, სიმებიანი ორკესტრი.

ხუთშაბათს

ქართული წარმოდგენა.

ბილეთები 55 კაპ.

პარასკევს

ოპერეტა

ბილეთები 3 მან.

დასაწყისი: კონცერტებისა საღამოს 9 საათზე.
წარმოდგენებისა და სინემატოგრაფისა „ $8^1/_2$ საათზე.

სტუმრები იხდიან კლუბში შესასვლელ ფასს: მამაკაცები 1 მან., მანდილოსნები და სტუდენტები (ფორმით) 50 კაპ. (1—596—1)

საბურთალოზე

ადგილების მყიდველთა საყურადღებოდ

შევუდექით „დიდ ნავენახარის“ (საგაბაშვილო თხინვალის აგარაკში“) სამოსახლოების დამტკიცებას.

ვთხოვთ უმორჩილესად ადგილების მყიდველთ, მობრძანდნენ 27 ამა თებერვლიდგან, **წარმოადგინონ მათზე დარჩენილი ფულები სრულად თბილისის სამეურნეო ბანკში და დაიმტკიცონ თვისი დაზევებული ადგილები.**

ჩვენ მიერ მიცემული ბარათები ფულის მიღებისა აგრეთვე ბანკიდგან მიღებული **უსათუოთ თან უნდა მოიტანონ**—საბოლოვო ანგარიშის გასასწორებლად.

გადილების დამტკიცება გასტანს—ამავე წლის მარტის 30 რიცხვამდინ.

ვინც ამ ხნის განმავლობაში არ დაიმტკიცებს ადგილებს და არ გაასწორებს ანგარიშს, შემდეგ უფლება დაეკარგება მამულის დამტკიცებაზედაც და საყვედურის თქმაზედაც.

პატივისცემით
იოსებ ნიკოლოზის ძე მერკვილაძე.
სევასტი მიქელას ძე გაჩეჩილაძე.
ივანე ზაალის ძე ხვანიშვილი.

(10—539—2)

მოსკოვის სახალხო ბანკი

აცხადებს კოოპერატივების და საზოგადო დაწესებულებათა საყურადღებოთ, რომ იგი ჰყიდის თბილისში

შაბიამანს

ფუთი ღირს 19 მ. 60 კაპ. ფრანკს საწყობი. ვისაც სურს გამოიწეროს უნდა შემოიტანოს ფუთზე ათი მანეთი—თბილისში კავკასიის ბანკში, მოსკოვის სახალხო ბანკის ანგარიშზე ჩასარიცხავათ (въ Тифлисъ, Кавказскому Банку для зачисленія на счетъ Московскаго Народнаго Банка) და იმავე დროს საგანგებო ბარათით აცნობოს ბანკის წარმომადგენელს კ. პ. კანდელაკს (თბილისი, გუნიბის ქუჩა № 61), დანარჩენი ფასი დადებით. კერძო პირთ ბანკი შაბიამანს არ მიჰყიდის. (2—547—1)

ახალი ჟურნალი

ბ. თბილისის გუბერნატორმა ნება დამრთო გამოვსცე ახალი საყმაწვილო ჟურნალი

„ბუნება და ცხოვრება“.

ჟურნალის მიზანია დასურათებულ წერილებით გააცნოს ჩვენს ყმაწვილებს და ხალხს გარემო ბუნება-ცხოვრება და მით ნამდვილი რეალი საფუძველი დაუდვას მათს გონებრივსა და ზნეობრივ-ესტეტიურ გახსნა-განვითარებას.

თვისის ასეთის სახით ჟურნალი საჭირო იქნება ყოველ ქართველ ოჯახისათვის და ამიტომ, ვგონებთ, უნდა გავრცელდეს კიდეც ჩვენს ოჯახში.

ვისაც მოეპოვება ორას თუმნამდე თანხა, ვსთხოვთ იკისროს ჟურნალის გამოცემა. მიეცემა ჯამაგირი და შოსავლის ნახევარი.

დაწვრილებით შეტყობა პირობებისა პირადად ანუ წერილით: Тифлисъ, Тумановскій пер № 24, Ивану Павловичу Ростомашвили.

ივ. როსტომაშვილი.

საიმპერატორო სამუსიკო სკოლის საკონცერტო დარბაზში

(გრიბოედოვის ქუჩა № 8)

ნიკ. ბარათაშვილის პატივსაცემად

დღეს, 26 თებერვალს, იმართება

სემინარიელთა სამუსიკო-სალიტერატურო

საღამო

პროგრამა: ა) საკუთარი ლექსები, ბ) დეკლამაცია, გ) ესკიზები, დ) რეფერატი, ე) მომღერალთა გუნდი. მონაწილეობას იღებენ სემინარისტთა საკუთარი ძალები.

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ ◆ ბილეთების ფასი 4 მ.—45 კაპ.

ბილეთები დღეს გაიყიდება დილის 10 ს-დამ საღამოს 7 ს-მდე „ძმურ ნუგეშში“, შემდეგ კი სამუსიკო სკოლაში. (1—594—1)

შაბიამანი

და

საჭმლისათვის ღვინისქვის სიმჟავე

ისყიდება

„კავკასიაში ტეხნო-ქიმიურ წარმოებათა ამხანაგობაში“.

თბილისი, დიდუბე, ქუთაისის ქ. 2.

5—538—2)

ექიმი კბილისა

ე. ივ. გალარჯაშვილი-მათეშვილისა

იღებს ავადმყოფებს:

დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ.

ჩერქეზიშვილის და რეუტოვის ქუჩის კუთხე № 20.

ექიმი

მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ახალი აფთიაქი

პროვიზორის ახვლედიანისა

ექიმი

ე. ლ. შალამბერიძე

იღებს საბებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 7.

ექიმი

მ. ი. ვაჩნაძე

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

ექიმი

ფონ-ირტელი

(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).

მოსკოვის საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჰრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი, საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის $9^1/_2$-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.

ტრამვაის „914“ და „606“

შეჩერება

ექიმი

ივანე თიკანაძე

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18.

ტელეფონი № 11—82.

ექიმნი

გ. მ. მუხაძე

იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ

საღამოს 5-6 ს. მდე, კვირა დღეს გარდა

მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

პარტიობა თუ უპარტიობა

ქართულ გაზეთების მკითხველებმა უკვე იციან, რომ კვირას, 19 თებერვალს, არაჩვეულებრივი ამბავი მოხდა წ. კ. საზოგადოების თბილისის განყოფილების გამგეობისა და სარევიზიო კომისიის არჩევის დროს. ათას ხუთასზე მეტი კაცი დაესწრო ამ კრებას და ცხრაასზე მეტმა კენჭის ყრაში მონაწილეობა მიიღო. კრება რომ საქმეს შესდგომოდა, თავმჯდომარე იყო საჭირო და ამ თავმჯდომარის არჩევას ათას ხუთასმა კაცმა 8 საათი მოანდომა, დილის ათ საათიდან საღამოს ექვს საათამდე. სანამ კენჭის ყრის შედეგი გამოირკვეოდა, ამდენი ხალხი საარჩევნო ყუთებს უტრიალებდა უსმელი, უჭმელი და ნერვებ-ატეხილი. შეიძლებოდა თავმჯდომარე სულ ხუთს წუთში რომ არჩეულიყო და კრებაც იმავ დღეს ყველა თავის საქმეს მორჩებოდა. დროს მოგებაც იქნებოდა ეს და ათას ხუთას კაცის ენერგიის დაზოგვაც. ამ სახის ეკონომიისაკენ რომ მიისწრაფვის საზოგადოებრივი შეგნება, ეს ყველას მოეხსენება, ჩვენს გარდა. მოკლე დროში—მეტი შედეგი,—ეს არის ერთად-ერთი აზრი, რომელიც იპყრობს მიზანშეწონილ მუშაობაში ჩაბმულ ყოველ შეგნებულ ინდივიდს თუ საზოგადოებას. თვით პროგრესი ამ ტენდენციით ხასიათდება, ეს პსიხოლოგია სწორედ პროგრესს მოაქვს. ველურობის ნიშანია, როცა დრო და ენერგია ზომის გარეშე იფლანგება. 8 საათის წილ 5 წუთი იკმარებდა, რომ კრების საზოგადოება გონიერი ყოფილიყო. ჩვენ ხუთის წუთის საქმეს 8 საათი მოვანდომეთ. ველურობა ყოფილა ჩვენის ხასიათის მფლობელი, განუსჯელი ვყოფილვართ და ყოველივე ეს ერთბაშად გამოვამჟღავნეთ. ამის ხილვა სამწუხარო იყო, მაგრამ ცოდო გამოაშკარავებული სჯობია და, თუ განკურნება გვიწერია, გახურებული შანთი ახდილ წყლულს უფრო მალე მიაგნებს. დრო ადვილი გასაზომია და, ამ მხრივ ვინც კი სინიდისში ჩაიხედავს, ყველა მიხვდება ზარალის ოდნობას. მაგრამ მარტო დროს დაკარგვით არ ამოიწურება წარსული კრების მავნებლობა. თუ მთელი იყო, მან გაბზარა ეროვნული საქმის შეგნება და თუ ეს გაბზარული იყო—და ჩვენ გვგონია, რომ იყო—ეს ბზარი მან გალარა. აი ეს ზნეობრივი და პსიხოლოგიური მოვლენა-შედეგი ყველაზედ უფრო საშიშია ჩვენი ქვეყნის მომავლისათვის, თანაც მეტად ფაქიზი; მისი გასაზომი იარაღი აღარ არსებობს და იგი ყველასთვის გასაგები და მისახვედრი არ არის. ამ შემთხვევაში მარტო სინიდისში ჩახედვა არ კმარა. აუცილებელია განყენების ნიჭი, განმაზოგადოებელი ტვინი, რისთვისაც ხალხის სიმრავლეს ხელი ვერ მიუწვდება; ხოლო ამ შედეგის დაუნახაობის ძალით, შეიძლება გაუგებარმა პირქვე დაამხოს საქმე, რომლის აშენებაც სწადიან. ნამდვილი საფრთხე სწორედ ესაა. წარსულ კვირის კრებამ ეს საფრთხე აღმოაცენა. თბილისი მთელ საქართველოს ტონს აძლევს, ამიტომაც აქ აღმოცენებული საფრთხე ავტორიტეტულად მოედება საქართველოს პროვინციებს და რაც უფრო შეუგნებელი და უვიცი აღმოჩნდება პროვინციის საზოგადოება, მით უფრო გაიზრდება ამ საფრთხის სიღრმე და გაშლილობა. ამას დროზედ უნდა აღკვეთა.

რამ წარმოშვა კვირის ვაკხანალია?—სხვა სახელს ვერ ვუწოდებთ მას, რაც კვირას მოხდა, რადგან აქ იყო ნაჩქარევად პარტიის გასამარჯვებლად შეძენილი ხალხი. აქ იყვნენ მოწაფეები, პარტიული ოჯახების მშობლები შვილებითურთ. თუ სწორია ცნობა, წ. კ. საზოგადოების კანცელარიაში რომ მომცეს, მარტო უკანასკნელ კვირის განმავლობაში არჩევნებისთვის 850 წევრი ჩაუწერიათ პარტიის შიკრიკებს. თქვენი არ ვიცი და მე ამას **ეროვნულ საქმის შეგნების მხრივ** ისეთ დადებით ღირებულებას არ ვაძლევ, რომ მოხსენების ღირსიც გავხადო.—

კვირის ვაკხანალია შექმნა და წარმოშვა პარტიულმა ავადმყოფურმა აღტყინებამ. ერთი პარტია თავის „დროშით“ და „რაზმებით“ შემოვიდა წ. კ. საზოგადოებაში. ეტყობოდა, რომ მას თავის დიქტატურის გამეფება მოესურვებინა—კანდიდატთა სია იმ სახით ჰქონდა შედგენილი. ერთი პარტიის დიქტატორულ ზრახვას მეორემ თავისი დიქტატორული გულთაზრახვა შეაგება და წერა-კითხვის საზოგადოება აღმაშფოთებელ პარტიულ გულისთქმის ასპარეზად გადაიქცა. წერა-კითხვის საზოგადოება ერთი რომელიმე პარტიის დიქტატურის ქვეშ,—სალ გრძნობებისა და გონების გაკოტრების ნიშანია. ეს იქნება საშინელი მარცხი ქართული საზოგადოებრიობისა. წერა-კითხვის საზოგადოებამ ქართველ ხალხში წერა და კითხვა უნდა გაავრცელოს. საამისოდ იგი ხსნის სკოლებს და სამკითხველოებს. ეს საპარტიო საქმე არ არის. ვისაც ეს საქმე უყვარს და გულწრფელად ემსახურება, იმას პარტიულის მიზნებით და ანგარიშებით ამ საზოგადოებაში არ შემოევლება. ხოლო ვინც პარტიულის წესდებით და გავლენის მოსაპოებლად შემოსვლას დააპირებს, ის, შეგნებულმა საზოგადოებამ არ უნდა შემოუშვას. წერა-კითხვის გავრცელების საქმეს ცოდნა და სისტემა უნდა განაგებდეს. ამისთვის მომზადებული, ღირსეული და პატივმოსილი პიროვნებებია საჭირო. ამიტომაც იყო, რომ ამ საზოგადოების გამგეობაში ყოველთვის ირჩევდნენ ჩვენის საზოგადოების საუკეთესო წევრებს: შეგნებით, ცოდნით, ხასიათით, ბუნებით და დამსახურებით. დღეს კი პარტიულ ბრძოლის ლოზუნგით გამოსული პარტიები სრულიად უცნობ და მოუმზადებლებს, ხოლო შიგა და შიგ იმგვარ ვიწრო პარტიულ პირებს ასახელებენ, რომელნიც თავიანთ მოპირდაპირეს ისე ვერ მოიხსენიებენ პრესაში თუ საზოგადოებაში, რომ ლაფი არ გადაასხან და დაუმსახურებლათ არ დაამცირონ, სახელი არ გაუტეხონ! ბევრ უბედურებას დასაბამი დაედება წერა-კითხვის საზოგადოებაში, თუ იქ ასეთი პირები დაბინავდნენ და გაბატონდნენ. წერა-კით. საზოგ. მმართველებად და გამგეებად ისეთები უნდა იქმნენ არჩეულნი, რომელთაც კულტურული საგზალი აქვსთ, რომელთაც გაეგებათ წერა-კითხვისა და მის რაციონალად გაგრძელების საქმე. ასეთები შეიძლება ყოველ პარტიაშიც იყვნენ და პარტიის გარეშეცა. თუ გვიყვარს და სათანადოთ ვაფასებთ ამ ყველაზედ უმხცოვანეს საზოგადოებას, ყოველის მხრიდან უნდა საუკეთესო პირები მოვკრიფოთ და ჩავუყენოთ სათავეში. ეს კი საერთო შეთანხმებით და გულდასმით უნდა ვეძებოთ. ეს პარტიობის საკითხი კი არ არის, არამედ იმ ადამიანის პირადი ღირსების საკითხია, რომელიც საქმის საკეთილოდ წაყვანისათვის უნდა მოვიწვიოთ. ასე უნდა მოიქცეს ყველა, ვინც შეგნებულია და ვინც ნამდვილი მეგობარია წ.-კ. საზოგადოებისა და არა ისე, რომ უთუოდ თვისი კაცი გაიყვანოს რაც გინდ მოუმზადებელი იყოს ეს კაცი და რა გინდ ჩამოუვარდებოდეს იგი თვისი პირადის ღირსებით სხვა რომელისამე პარტიის მიმდევარს. პარტიობა ღუპავს წ. კ. საზოგადოებას და მით უფრო დაღუპავს, რაც უფრო ვიწრო და შეურიგებელი იქნება და მით უფრო მეტ შვებას მისცემს მას, რაც უფრო დაუახლოვდება თვის თავის უარყოფას ეს

პარტიობა, სრული უპარტიობა, მიზნად მარტო წ. კ. საზოგადოების ნამდვილი მიზნის დასახვა და ამ საზომით ღირსეული პირების დასახელება არჩევა— აი სად არის წინდი ამ საზოგადოების აყვავებისა. წარსული კვირის ამბავი სამწუხარო მოგონებად დარჩეს და მომავალი კვირეები, თვენი და წლები უპარტიო თანხმობით მუშაობას შევალიოთ წ.-კ. საზოგადოების გაზრდასა და წარმატებას.

ხ. კედია.

გამთიშავი ძალები

ვ. ლელიანი.

ქართული პრესა

„თანამედროვე აზრი“ დემოკრატიული ნიღაბით ცდილობს წერა-კითხვის საზოგადოების კრებაზე სოციალისტურ პარტიათა შორის ატეხილ სამარცხვინო პარტიული ბრძოლის გამართლებას. გაზეთი სწერს:

ჩვენი მიზანი—კულტურული დაწესებულების სვებედი ხალხის ხელში გადასულიყო—უკვე მიხწეულია. ამიერიდან გამგეობა, მიუხედავად თავისი შემადგენლობისა, იძულებული იქნება მოქმედება ხალხის სურვილებს დაუმორჩილოს. ამას მოითხოვდა ქართველი ერის ინტერესი. ქართული კულტურის დედაბოძია დემოკრატია, არისტოკრატიულ-ბურჟუაზიული წრეები რუსული ენითაც იოლათ მიდიან და ამიტომაც არის დედაენას ზურგს აქცევენ და წიხლავენ. ორმა ნაციონალისტმა მოღვაწემ ეს ამ დღეებშივე დაამტკიცა, რაც უკვე აღვნიშნეთ. არისტოკრატია რუსული კულტურით საზრდოობს. გადაგვარებულ ელემენტებს ამ წრეებში შეხვდებით. აქ ქართული ჯვარი და წარმოდგინეთ გამოთქმაც დიდ უბედურებად ითვლება, ვინაიდან ეს კარიერის მაღალ საფეხურზე ასვლას ხელს უშლის. პირიქით, ქართული სკოლა და წიგნი, გაზეთი და თეატრი და სხვ.—ყველა ეს დემოკრატიულ აუცილებელ მოთხოვნილებას წარმოადგენს. მას განვითარება მხოლოდ სამშობლო ენაზე შეუძლია. ამიტომაც არის, როცა არისტოკრატიულ-ბურჟუაზიული წრეები რუსული ჟურნალ-გაზეთებით იკვებებიან, დემოკრატია უკანასკნელ გროშს არ იშურებს თავისი გაზეთის უზრუნველსაყოფათ; პირველი ბანაკი უცხო წარმოდგენებსა და ოპერებს აწყობა, ხოლო ქართველი დემოკრატია სახალხო თეატრს მკვიდრ საფუძველზე აშენებს. და აი მისი ძალა გავლენა კულტურულ ასპარეზზედ ც იზრდება. მას სამოქმედო ასპარეზი წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოებაშიც გაეხსნა. ყოველივე ცდა, ის ამ ასპარეზზე ჩამოაშორონ, ფუჭი იქნება.

სრული ჭეშმარიტებაა, რომ ქართულს ენას, ქართულს სკოლასა და თეატრს უწინარეს ყოვლისა ხალხის ფართე წრეებისათვის აქვს მნიშვნელობა. სამწუხაროდ, ჩვენი დასელები თავიდანვე ასეთს შეხედულებას არ იზიარებდნენ და მათ, თავის მოღვაწეობით დიდი ზიანი მიაყენეს ჩვენს ეროვნულს კულტურას და მიზნებს. „თანამედროვე აზრი“ დიდს კმაყოფილებას გამოსთქვამს—ჩვენი მიზანი, რომ კულტურული დაწესებულების სვებედი ხალხის ხელში გადასულიყო, უკვე მიხწეულიაო. ეს თუ ასეა, ძლიერ სამწუხაროა, რომ ამ ხალხმა კულტურულ დაწესებულებაში მოქმედება ასეთი გამოსვლებით დაიწყო. კვირის მსგავსი სამარცხვინო დღე ამ კულტურულ დაწესებულების მატიანეს მეორე არ ახსოვს.

ომის ამბები

ბრძოლის ველზე

რუმინეთის ოპერაცია გერმანელებმა წარსულ წელში მდ. ტროტუშზე და ოიტუზე ბრძოლით დაამთავრეს. რამდენისამე მაღლობის დაკავების შემდეგ ქალაქ ოკნეს ახლოს გამაგრდნენ და მთელი ეს მიდამო განუწყვეტელ შიშს ქვეშ დააყენეს. ქალაქი ოკნა ზემოხსენებულ მდინარეთა შუა მდებარეობს. ხერეტიდან ამ ქალაქით რკინის გზა მიდის სემიგრადიისაკენ და, მაშასადამე, თავისთავად ამ ადგილს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ეძლევა. ტროტუშის და ოიტუზის ხეობები ხომ უფრო აორკეცებენ ამ მნიშვნელობას და საშუალებასაც აძლევენ მოპირდაპირეს მთავარი შეტევა სამის გზით აწარმოონ, დამცველთათვის კი მათი გამკლავება და ამ მიდამოთა შენარჩუნება, მეტად საძნელო საქმე იქნება. ქალაქ ოკნას მიმართულება ამასთან განსაკუთრებული მნიშვნელობიანი ადგილია, როგორც აქტიურის შეტევის ასპარეზი, საიდანაც მოპირდაპირეს საშუალება ეძლევა გამოვიდეს მოლდავეთში და ფართო ოპერაციის წარმოება დაიწყოს. ამასთანავე, იგია ცენტრიც, უფრო დაახლოვებული და რკინის გზით გადაბმული თვით ავსტრიასთან. აი რატომ არის საგულისხმო გუშინდელ ოფიციალ დეპეშის ცნობა: მოპირდაპირემ იერიში მოიტანა ქ. ოკნასთან და სამი მაღლობი ჩაიგდო ხელშიო. არაერთხელ მიგვიქცევია მკითხველის ყურადღება იმ გარემოებაზედ, რომ გერმანელნი ყოველთვის სულ მცირე აქტიობას აღმოსავლეთ ბრძოლის ველზე მთავარ სტრატეგიულ ადგილებთან იჩენენ ხოლმე. სამის სიმაღლის აღება უსათუოთ ცხარე ბრძოლას გამოიწვევდა და საკმაო ძალებიც მიიღებდნენ მონაწილეობას. თვით დეპეშის ცნობა, რომ კონტრ-იერიშები რუს-რუმინელთა ჯარების მხრივ გრძელდებაო, ამასვე ჰმოწმობს. ჩანს, მტერი მეტად ძლიერი აღმოჩნდა, რომ ჯერაც ვერ დაუბრუნებიათ დაკარგული ადგილები. აქვე რომელისამე ხეობის ახმაურებასაც სიმაღლეებთან ბრძოლის დასაცავად უთოოდ უნდა ველოდოთ, რადგან პირისპირ ბრძოლა ისეთ მთიან მიდამოში, როგორიც არის ქ ოკნას მდებარეობა, ძალიან ძნელი საქმეა.

აღსანიშნავია, რომ მოპირდაპირეს, მიუხედავად ცუდ ამინდისა, იტალეთში ტრონტინის ასპარეზზე საშინელი საარტილერიო ცეცხლი გაუჩაღებია.

X.

ომის დეპეშები

25 თებერვალი.

უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.

პეტროგრადი. დასავლეთის ასპარეზი. მიტავის მიმართულებით, ოლაის მიდამოებში, ზარბაზნების დაშენის შემდეგ, მოპირდაპირემ 2 როტით იერიში მოიტანა, მაგრამ სროლით ისევ თავის სანგრებშივე მივაბრუნეთ.

რუმინეთის ასპარეზი. 23 თებერვალს მოპირდაპირემ იერიში მოიტანა ოკნას ჩრდილო-სასავლეთით და სამი მაღლობი აიღო. ჩვენი ჯარი სამაგიერო იერიშებით მიდის. ოკნას დასავლეთით მტრის იერიშები მოვიგერიეთ. დანარჩენ ბრძოლის ხაზზე სროლაა.

კავკასიის ასპარეზზე. სივასის მიმართულებით, ერზინჯანის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენმა მზვერავებმა მიზონილ-კეისთან ოსმალებს შეუტიეს და გამაგრებული ადგილები აიღეს. აქ დაანგრიეს ეს სანგრები, პატრონების და ყუმბარების საწყობი ააფეთქეს და ხელთ იგდეს 33 ასკერი. საკიზის მიმართულებით, ურმიის ტბის სამხრეთით, დიდ თოვლში ჩვენმა მოწინავე რაზმებმა 25 ვერსით წაიწიეს საკიზის სამხრეთ დასავლეთით.

მფრინავთა მოქმედება. სმორგონის დასავლეთით ჩვენმა საფრენთა რაზმმა ყუმბარები ჩამოჰყარა.

ინგლისი

ლონდონი. საფრანგეთის ასპარეზზე მიაშთან მდებარე გერმანელების სანგრებს მარჯვედ დავეცით და ტყვეები წამოვიყვანეთ. შონის სამხრეთ-აღმოსავლეთით და არრასის სამხრეთით, ზარბაზნების დაშენის შემდეგ, გერმანელებმა ჩვენს წინა სანგრებს თავგანწირვით შემოუტიეს. ჩვენ რამდენიმე კაცი უკვალოდ დავკარგეთ.

საფრანგეთი

პარიზი. დღის ოფიც. ცნობა. მელინის ბორცვისა და მეზონდე-შამპანის შუა 1500 ადლის სიგრძეზე 600—800 ადლით წინ წავიწიეთ. დღე იწურებოდა, როდესაც გერმანელებმა მედგრად შემოგვიტიეს, მაგრამ დაზარალებული უკუვაგდეთ და 136 მეომარიც დავატყვევეთ, მათ-შორის 3 ოფიცერი. ავოკურის ტყეში მოპირდაპირემ ორჯელ შემოგვიტია, მაგრამ სროლით შევაჩერეთ.

პარიზი. საღამოს ოფიც. ცნობა. ზარბაზნების მედგარი დაშენის შემდეგ, ჩვენმა ჯარმა შამპანში მელინის ბორცვსა და მეზონდე-შამპანს შუა მტრის მიერ 2 თებერვალს დაპყრობილი ადგილი დაიბრუნა. ასი კაცი დავატყვევეთ, მათ-შორის 2 ოფიცერი. მაასის მარცხენა ნაპირას, „304“ მაღლობსა და ავოკურის ტყის შუა გერმანელებს საველე სიმაგრეები დაუნგრიეთ. ელზასში ჩვენმა ზარბაზნებმა სერნეის სამხრეთით მტრის ძლიერი რაზმი გაჰფანტა.

პარიზი. სენატმა მოიწონა პალატის კანონ-პროექტი, რომელშიაც ნათქვამია: ომის დროს, სახელმწიფოს თავდაცვის საჭიროებისათვის, უცხოეთის გემებს შეუძლიანთ საფრანგეთის დროშით ნაოსნობა, მხოლოდ ასეთი გემები საფრანგეთის მთავრობას უნდა ექვემდებარებოდეს, საფრანგეთისა და მისი მოკავშირეებისათვის სანოვაგე უნდა ზიდონ და გემებზე საფრანგეთის მთავრობის აგენტები უნდა იმყოფებოდნენ.

ამერიკა

პარიზი. ნიუ-იორკიდან დეპეშით იტყობინებიან: უილსონმა თავის სიტყვაში, სხვათა შორის, განაცხადა: მუდმივი ზავის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ალზასლორენის უკანასკნელ წლების მდგომარეობაო.

პარიზი. „პტი ჟურნალ“-ში მოთავსებულია ნაპრეზიდენტალ რუზველტის საუბარი. რუზველტს უთქვამს: საერთაშორისო მშვიდობიანობით მხოლოდ ომში ჩაბმული ერები ისარგებლებენო. რუზველტს, როგორც მამულიშვილს და ქრისტიანს, დიდი იმედი აქვს ომის შედეგისა. იგი ურჩევს ევროპის ასპარეზზე გასაგზავნად მოხალისეთა ლეგიონი შეადგინონ.

ვაშინგტონი. უილსონი შეუძლოთ გახდა. ექიმებმა მყუდროობა და მოსვენება ურჩიეს. ალბად რამდენიმე დღეს წოლა მოუხდება.

გერმანეთი

სტოკჰოლმი. ბერლინიდან იტყობინებიან: შარლოტენბურგში ფილტვების ანთებით გარდაიცვალა გრაფი ცეპელინი.

იტალია

რომი. იტალიის მთავარბანაკის ოფიციალი ცნობა. ტრენტინის ასპარეზზე, უამინდობის მიუხედავად, მედგარი სროლაა ზარბაზნებისა ადიჯეს ველში. პატარ-პატარა შეჯახება მოხდა ლიმონისა და სპერას (სუგანის ველშია) შუა, რიო-ფელიცეს წყაროებთან (ზემო ბოიტეს ველშია) და სეკსტენის ველში (დრავა). მტერი ყველგან მოვიგერიეთ.

ჟურნალ-გაზეთებიდან

წყალქვეშ ბრძოლა

ნორვეგიის იალქნიანი გემი „ლამელა“, 1497 ტონის მტვირთველი, გალვესტონიდან დანიაში მიმავალი, გერმანელების წყალქვეშამ დაღუპა კვინსტოუნის მახლობლად.

შვეცია და გერმანეთი

„Deutsche Tageszeitung“-ში გრაფი რევენტლოვი შვეციას აფრთხილებს, მალე მოსალოდნელია შვეციას გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა დასჭირდეს და წინდახედულება ჰმართებს, რადგანაც საქმე შვეციის დამოუკიდებლობას ეხებაო.

საქმე ისაა, რომ შვეციაში სამინისტროს ცვლილებას ელიან, და პრემიერ მინისტრად შესაძლოა ვალენბერგი დანიშნონ—ვალენბერგი კი მომხრეა მოკავშირეებთან ეკონომიური კავშირის შეკვრისა.

სამხედრო თათბირი

სოფიაში საგანგებო სამხედრო თათბირი მოხდა, რომელსაც დაესწრო მაკენზენი, ენვერ-ფაშა და ჟეკოვი. თათბირი საგაზაფხულო მოქმედებას ეხებოდა. ენვერ-ფაშას მოუთხოვნია, გალიციასა და დობრუჯაში მყოფი ოსმალთა ჯარი ოსმალეთში უნდა დავაბრუნოთო. მაკენზენს ამაზე უარი განუცხადებია, გერმანეთის უმაღლეს ბრძოლის ხაზის შესუსტება არ შეიძლებაო.

წყალქვეშების დაღუპვა

„უტ. როს“-ის თანამშრომელი კოპენჰაგენიდან იტყობინებს: გერმანეთის საზღვაო წრეებიდან მიღებულ ცნობებით, თებერვლის განმავლობაში გერმანელებს 35 წყალქვეშა დაეღუპათო.

„ბერლინერ ტაგებლატ“-ში კაპიტანი პერსიუსი სწერს: საქმე დაღუპულ წყალქვეშათა ჩამოთვლა როდია, საქმე ისაა, თუ სურსათ სანოვაგით დატვირთული და ინგლისისაკენ მიმავალი რამდენი გემია დაღუპულიო.

მექსიკა

მექსიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა „American United Press“ს დეპეშა გაუგზავნა, „მექსიკის მთავრობას გერმანეთისაგან არავითარი წინადადება არ მოსვლია მასთან კავშირის შეკვრაზეო“.

გერმანეთის გემები

„Dagens Nyheter“-ის ცნობებით გერმანელებს ომის განმავლობაში ნაღმებისაგან დაუღუპიათ 151 გემი 432 ათას ტონის მზიდველი. 267 გემი 807 ათას ტონის მტვირთველი მოკავშირე სახელმწიფოებს ჰყოლიათ დატყვევებული, რომლებიც ომის გამოცხადების დროიდანვე მოპირდაპირეთა ნავთსადგურებში მომწყვდეულან. ამ გემებს მოკავშირეები ამუშავებენ. ნეიტრალ სახელმწიფოთა ნავთსადგურებში მომწყვდეულია 621 გემი, 2341 ათას ტონის მზიდველი; გერმანეთის ნავთსადგურებში იმყოფება 490 გემი, 2400 ტონის მტვირთველი.

გერმანეთის მთავრობა გაჩქარებით აგებს ახალ სავაჭრო გემებს, რომელთა რაოდენობაც ერთი ორად უნდა აქციოს, რომ საერთო ვარაუდით 310 მილიონ ფუთის ზიდვა შეეძლოთ. ამის გარდა რაიხსტაგში კანონ-პროექტია შეტანილი, რათა სავაჭრო გემების ასაგებად კვლავ გადაიდოს რამდენიმე მილიარდი მარკა.

ომის დასრულების შემდეგ, გერმანელები სააღებმიცემო ომის დაწყებას აპირებენ, რათა მთელს ქვეყანაზე თავისი ეკონომიური ბატონობა გაამეფონ.

ინგლისის დირიჟაბლები

ამერიკულ ჟურნალ „Jeientite American“-სა და ინგლისის ჟურნალ „Illustrateel London Nevs“-ში მოთავსებულია ცნობები ინგლისის დირიჟაბლების მოქმედებაზე. ამ ჟურნალების სიტყვით, ინგლისის დირიჟაბლებმა გერმანელების წყალქვეშათა მოქმედება თითქმის გააბათილაო. ეს დირიჟაბლები შედარებით ნაკლები ძალისაა და მათი სამოქმედო ფარგვალიც შეზღუდულია. სამაგიეროდ დიდი სისწრაფე აქვთ, რაც ხელს უწყობს ზვერვის საქმეში. ასეთი დირიჟაბლები ინგლისსა და საფრანგეთს ნავთსადგურების სადარაჯოდ აქვთ. ისინი ჩინებულ სამსახურს უწევენ მათ მტრის წყალქვეშა ნავების მიგნებაში.

რუსეთის ხარჯთაღრიცხვა

„უტ. როს“-ში პროფ. მ. ი. ფრიდმანი რუსეთის სახელმწიფო ხარჯთაღრიცხვას ეხება და საგულისხმო ცნობები მოჰყავს: 1917 წ. 1 იანვრამდე რუსეთს ომზე დახარჯვია 25 მილიარდი მანეთი. ამ წლის ბოლომდე ეს ხარჯი 43—45 მილიარდ მანეთს მიაღწევს. საჭირო იქნება ოთხ ნახევარ მილიარდ მანათის ქაღალდის ფულის გამოშვება. ასე რომ ქაღალდის ფულის რაოდენობა 12 მილიარდ მანათს უდრის. რომ ქაღალდის ფული რომ ვარაუდში არ მივიღოთ, ომის მერე ხაზინამ 30—35 მილიარდ მანათის სესხის სარგებელი უნდა გაისტუმროს. 6 პროცენტი რომ ვიანგარიშოთ ყოველ წლივ, მხოლოდ სარგებელში უნდა გადაიხადოს ხაზინამ 1,800—2,000 მილიონი მანათი. თუ ამას დავუმატებთ ქვრივ ობლად დარჩენილთათვის მისაცემ პენსიებს ეს ხარჯი 2 მილიარდ ნახევარ მანეთამდე ავა.

უნდა აღინიშნოს რომ ომის დაწყებამდე რუსეთის ხარჯთ-აღრიცხვა 3 მილიარდ ნახევარს უდრიდა, ომის შემდეგ კი ხარჯთ-აღრიცხვა 6 მილიარდზე ავა.

ამერიკა

„უტ. როს“-ას ვაშინგტონიდან ატყობინებენ: კონგრესმა პრეზიდენტის ეპისტოლეზე პასუხი განზრახ დააგვიანა, რათა უილსონი იძულებული ჰყონ საგანგებოდ მოიწვიოს კონგრესი, თუ შეერთებულ შტატებისა და გერმანეთს შორის საქმე გამწვავდა. საქმე ისაა, რომ შტატების კონსტიტუციის ძალით კონგრესის ნორმალური სესსია შეიძლება პრეზიდენტმა მოიწვიოს მხოლოდ 9 თვის შემდეგ, ეს კი საქმეს დააგვიანებსო.

უკანასკნელი ცნობები

იტალიის სოციალისტები ომის საკითხის გამო ორ ბანაკად გაიყვნენ.

—

მიუხედავად იმისა, რომ უილსონს გემთა შეიარაღების საკითხის გამო საბჭოში ობსტრუქცია მოუხდინეს, უილსონს მტკიცედ გადაწყვეტილი აქვს გემები შეაიარაღოს.

—

15 მარტს, საფრანგეთში სოციალისტების კონგრესი მოხდება მუშათა კლასის ეკონომიურ მდგომარეობის გამოსარკვევად, ომის შემდეგ. საფრანგეთის და ინგლისის სოციალისტები მოითხოვენ რუსეთის პროლეტარიატის წარმომადგენელიც დაესწრონ; [illegible] საჭიროა, რომ ამ კონგრესზე გაარჩევენ ზავის საკითხს. დეპუტატი ბურიანოვი მიმართავს ცენტრალ სამხედრო მრეწველობის კომიტეტის ჯგუფს იზრუნონ დელეგატის ამორჩევისათვის.

—

კონსტანტინეპოლის უნივერსიტეტმა ნობელის კომიტეტის შეკითხვაზე, თუ ვინ არის ერთგული მომხრე ზავისა, შეუთვალა: ერთგული მომხრე ზავისა კაიზერ ვილჰელმიაო.

—

დიპლომატიურ წრეებში დარწმუნებულნი არიან, უკეთუ ამერიკა ომში ჩაერია, ომსაც მალე ბოლო მოეღებაო.

—

ლოზანიდან იტყობინებიან, გერმანეთის კათოლიკების ცენტრის ლიდერმა ფერენბახმა ომის შესახებ სიტყვა წარმოსთქვა და შეიდემანის წინაამღდეგ გაილაშქრა, რომელიც მოითხოვს, რომ საფრანგეთის დაპყრობილი ტერიტორია საფრანგეთს დარჩეს და ბელგეთისა—ბელგეთს. ფერენბახი ეკამათება შეიდემანს და ამბობს, რომ შეიდემანს არ ესმის თვით თავის პარტიის მოთხოვნაო. მთელ გერმანეთის ხალხის აზრია სამეფოს საზღვრები გაფართოვდეს, როგორც აღმოსავლეთით, ისე დასავლეთით და აიღოს კონტრიბუციაო.

„საქართველოს“ თანამოაზრეთა საყურადღებოდ

გაზეთ „საქართველოს“ თანამოაზრეთა ერთი ჯგუფი, ნაცვლად იმ პარტიულ კანდიდატებისა, რომელიც წამოაყენეს სოც.-ფედერალისტებმა და სოც.-დემოკრატებმა, წ.-კითხვის დღევანდელ კრებაზე გამგეობაში ასარჩევად ყუთს უდგამს შემდეგ არაპარტიულ მუშაკთ: თამარა ჩიქავაძეს, დავით გიორგის ძე კარიჭაშვილს, იპოლიტე ვართაგავას და თედო ხახოკიას.

ახალი ამბავი

◆ **გურია-ოდიშის სამღვდელოების დეპუტაცია.** გუშინ, 25 თებერვალს, საქართველოს ექსარხოსს მისს ყოვლად უსამღვდელოესობას პლატონს წარუდგა დეპუტაცია გურია-ოდიშის სამღვდელოებისა. დეპუტაციაში სამნი არიან: დეკანოზი ევგენი შენგელაია, კეთილმოწესე მღვდელი კირილე ჯავახია და მღ. ეპიფ. ჩხაიძე. თან ჩამოიტანეს გურია-ოდიშის სამღვდელოების კრების დადგენილება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ. ექსარხოსმა მწყემსმთავრულის ყურადღებით მოუსმინა დეპუტაციას და თანაც მეფის ნაცვალსა სთხოვა დეპუტაციის მიღება. მეფის ნაცვალს დეპუტატები დღეს, საღამოს ექვს საათზე წარუდგებიან.

◆ **დამფუძნებელი კრება ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოებისა.** მოვაგონებთ ჩვენს მკითხველებს, რომ დღეს, 26 თებერვალს, დილის $9^{1}/_{2}$ საათზე, სახალხო სახლში დანიშნულია წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების თბილისის განყოფ. დამფუძნებელი კრების გაგრძელება. უნდა ვიფიქროთ, რომ კრებას აუარებელი საზოგადოება დაესწრება, რადგან საზოგადოებაში ერთობ ბევრნი ეწერებიან წევრებად.

◆ **„ახალი კლუბი“.** 24 თებერვალს მოხდა „ახალი კლუბი“-ს წევრთა წლიური საზოგადო კრება. თავმჯდომარეობდა პ. ა. გოთუა. მამასახლისთა არჩევნებმა მწვავე ხასიათი მიიღო. ხმის უმეტესობით მამასახლისებად არჩეულ იქმნენ: თავ. მ. დ. ჭავჭავაძე, თავ. ი. რ. მაყაშვილი, თავ. დ. ყ. ვაჩნაძე, თავ. გ. ე. მუხრან-ბატონი, დ. გ. გაბაშვილი, ა. ი. ანდრონიკაშვილი, ა. გ. სარაჯიშვილი, ნ. ე. წვერავა და პ. ი. ქავთარაძე.

2 მამასახლისის, 6 კანდიდატისა, სარევიზიო კომისიისა, კლუბის წევრებისა და მუდმივ მოსიარულეთა არჩევნები გადაიდვა დღეისათვის (26 თებერვალი, დილის 11 საათი).

კრებამ დაამტკიცა წარსული წლის ხარჯთაღრიცხვა. კლუბის წმინდა მოგებიდან კრებამ გადადვა სხვა და სხვა დაწესებულებათა და კერძო პირთა სასარგებლოდ 9 200 მ. ნ., რომელიც ამ დღეებში განაწილდება.

◆ **ინსტრუქტორების კრება.** დღეს, 26 თებერვალს, დილის 11 საათზე, ამიერ კავკასიის კოოპერატივთა კავშირის ხელმძღვანელთა თაოსნობით იმავე კავშირის ბინაზე (კრილოვის ქუჩა) საერთო კრება ექნებათ ინსტრუქტორებს, რომელთაც საერთო მოღვაწეობის გეგმა უნდა შეიმუშაონ.

◆ **ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების მთავარ გამგეობას** მოუვიდა წლიური ანგარიში ქუთაისის, ფოთის, ბათუმის და სენაკის წ.

ქ. გ. საზოგადოების განყოფილებები სავაჭ. ქუთაისის განყოფილებას ჰყავს ამჟამათ 400 ნამდვილი წევრი, ფოთისას 202, ბათუმისას 655 და სენაკისას 109.

◆ **ქ. შ. წ. კ. გამავრც. საზოგად. თბილისის განყოფილებაში** კვირის კრების შემდეგ ჩაწერილა 1000 მეტი წევრი. ასე რომ თბილ. წ. კ. გ. საზოგადოებას ამ ჟამათ სამი ათასზე მეტი წევრი ჰყავს.

◆ **საიმპერატორო სამუსიკო საზოგადოების წევრთა კრება.** დღეს 26 თებერვალს დანიშნულია საიმპერატორო სამუსიკო სასწავლებლის თბილისის განყოფილების წევრთა კრება. განსახილველი საგნებია: 1) მთავარ დირექციას უნდა ეცნობოს საიმპერატორო სამუსიკო სასწავლებლის კონსერვატორიათ გადაკეთების საქმე. 2) 1915—1916 წლის ანგარიშის განხილვა. 3) გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევა.

◆ **პურის სიმცირე და ქალაქის გამგეობა.** 24 თებერვალს თუმანოვის ქუჩაზე ქალაქის სასურსათო დუქანში გამომცხვარი პური აღარ იყო ხალხს და უპუროდ დარჩენილებმა დუქანს მტვრევა დაუწყეს და ლანძღვა-გინებით იხსენიებდენ ქალაქის გამგეობას. ამის გამო ქალაქის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა ქალაქის კომენდანტის წინაშე, რომ თუ შესაძლებლად სცნობს, პატრულები დააყენოს ქალაქის სასურსათო დუქნებთან. გარდა ამისა, გამგეობა ფიქრობს კიდევ სამი ახალი საქალაქო ფურნე გახსნას თბილისში: ავლაბარსა, ვერასა და ამაღლების ქუჩაზე და ამნაირათ, დღეში საერთო 5.000 ფუთამდე პური ცხვებოდეს ქალაქის ფურნეებში.

◆ **სამუსიკო დილა.** დღეს, კვირას, 26 თებერვალს, ახალ კლუბის დარბაზში გაიმართება მეორე საჯარო სამუსიკო დილა, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ თბილ. ქართულ საფილარმონიო საზოგადოების სკოლის მოწაფენი. დასაწყისი შუადღის 12 საათზე.

◆ **უკრაინელთა დრამატიულ წრის საღამო.** დღეს 26 თებერვალს უკრაინელთა დრამატიული წრე სახალხო სახლში მართავს საღამოს უკრაინის პოეტ ტარას შევჩენკოს ხსოვნის აღსანიშნავად. საღამო სამი განყოფილებისგან შესდგება. პირველ განყოფილებაში ლომთათიძე წაიკითხავს მოხსენებას ტარას შევჩენკოზე. მეორე განყოფილებაში წარმოდგენილი იქნება ტ. შევჩენკოს პიესა „ნაზარი სტოდოლია". მესამე განყოფილებაში: შესდგება აპოთეოზი და ხორო.

◆ **ბაზრის რევიზია.** თანახმად ახალ კანონისა, სასამართლოს ბრალმდებელი ვალდებულია თვალყური ადევნოს სურსათ სანოვაგის ვაჭრობას და თუ ვინმემ, პატივსადებ მიზეზის გარეშე, სანოვაგეს ანუ ფასი მოუმატოს თავის ნებით, ანუ დამალა, 10.000 მანეთით დააჯარიმოს და ამასთანავე ციხეში ჩასვას 1 წ. და 4 თვით. ამ კანონით ისარგებლა თბილისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებლის ამხანაგმა ბ-ნმა ნაზაროვმა და 26 თებერვალს, დილით, ქალაქის პოლიციის და ქალაქის გამგეობის აგენტების თანხლებით, დაათვალიერა ეგრედ წოდებული, რუსის იარმუკა, სალდათის ბაზარი და სახორცე დუქნები. ბლომად აღმოჩნდა დამალული ხორცი, ხახვი, კომბოსტო და სხ. შედგენილ იქმნა 30 მდე ოქმი. ნამალევი ხორცი პატრონებს ჩამოართვეს და ნიხრზე გაჰყიდეს.

◆ **შაბათს, 4 მარტს,** საზურთალოს სცენას მოყვარეთა წრე თავისივე რეჟისორის ვინარმანიძის მონაწილეობით სდგამს ახალ პიესას ვ საათაშვილისას „ორ წყალ შუა" 1 მოქმედ და სამ სურათად.

◆ **ნ. გოცირიძის იუბილე.** ხარფუხის კლუბის მამასახლისთა საბჭომ დაადგინა, ნიკ. გოცირიძის 20 წლის სცენაზე მოღვაწეობის აღსანიშნავათ, გაუმართოს კვირას, 26 თებერვალს, საიუბილეო დღესასწაული და წარმოდგენა, ხარფუხის საზოგადო კლუბის დარბაზში საღამოს 9 საათზედ. წარმოდგენილი იქნება: მოლიერის კომედია „ტარტიუფი ანუ მუზმუზელა" წარმოდგენაზედ შესვლა უფასოა.

◆ **ქალაქის ცენტრალ საწყობში** ქურდობა აღმოჩნდა. მიპარულია 8 ტომარა ფხვნილი შაქარი. ქალაქის გამგეობამ ეს ამბავი მაქებარ პოლიციას აცნობა.

ქუთაისი.

შეჩერებულ გაზეთის „შრომა"-ს რედაქტორს ბრაგაძეს გუბერნატორმა ნება დართო კვლავ გამოსცეს ეს გაზეთი.

— ქუთაისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარემ ბ-ნმა ფიდლოროვმა ქუთაისის სათეატრო ფონდისათვის 2,000 მანეთი შესწირა.

— ქალაქის გამგეობამ სენაკის მაზრაში შეიძინა 3000 ფუთი სიმინდი ქუთაისის მცხოვრებთათვის.

ბაქო.

მუსულმანთა ჟურნალისტს რ. ლატიფბეკოვს ნება დართეს გამოსცეს თათრულ ენაზე ბაქოში ყოველკვირეული გაზეთი „ვატანი" (სამშობლო).

— ქალაქმა მიწა დაუთმო ქართველ ისრაელთა სკოლისათვის.

ფოთი.

თებერვლის 18 თმ. სამარ. პალატის სესიამ გაარჩია პოლიტიკური საქმე „ფოთის რესპუბლიკად" წოდებულისა. ბრალსა სდებდნენ კიევის უნივერსიტ. სწავლა დამთავრებულს კონსტ. საბახტარიშვილს. იცავდა ნაფ. ვექ. შალვა მესხიშვილი. პალატამ გაამართლა ბრალდებული.

ბათომი.

ბათომის ქალაქის გამგეობამ დაადგინა სთხოვოს სახალხო განათლების მინისტრს, რომ უნივერსიტეტებში მიღებულ იქმნენ სტუდენტები იმის და მიუხედავად, რომელ სამოსწავლო ოლქში ექნებათ გათავებული საშუალო სასწავლებელი.

— ქართულ საქველმოქმედო სა-ბის გამგეობამ დაადგინა გადასდოს 10,000 მანეთი, რომ სა—ბის სკოლებთან ბათომის ოლქში გააშენონ ფორთოხლის და მანდარინის პლანტაციები.

თელავი.

სოფ. კისისხევი (თელ. მაზრა), 20 თებერვალს, ღამით, ფირუზა ხვადაგიშვილს ესტუმრა 4 შეიარაღებული უცნობი, ჯარისკაცების ტანისამოსით გამოწყობილნი. წაართვეს 25 მან. ფულით, დედაკაცებს ოქრო-ვერცხლის ნივთები, 1 ჩაფი ღვინო, 1 ფუთი ლორი, შემდეგ მოხვეტეს თუ რამე ტანისამოსები იყო ქალისა თუ კაცისა და არხეინად გაუდგნენ თავიანთ გზას. წასვლის დროს სახლის პატრონს გამოუცხადეს, ასი თუმანი იშოვე საცა იყოს, ორი კვირის განმავლობაში და რომ მოვალთ, მზათ დაგვახვედრეო.

— 13 თებერვალს შესდგა პირველი შეერთებული კრება ფშავლის მომხმარებელ ამხანაგობის გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა. გადაწყდა 3000 მანეთი თანხით, რომელიც მზათ არის. შეუდგენ საქმეს.

— ორ თვეზედ მეტია, რაც ფშავლის მახლობელ მთაში სარკინიგზო მასალა მზადდება. დამზადებულია რამდენიმე ათასი შპალი მუხისა, მაგრამ ჯერჯერობით სიძვირის და მუშა ხელის უშოვნელობის გამო თელავის ზადგურზედ ვერ მიუტანიათ.

— ორი მესამედი ვენახებისა დაუმუშავებელი რჩება. უფრო მუშა ისე არ არის ნაკლებათ, როგორც ტყის ბილეთი და მოტანა ძვირი. ურემ ჭიგოზე ტყის ბაჟად რვა მანეთს ახდევინებენ.

— სიძვირე დღითიდღე მატულობს სოფლის სანოვაგეზედაც. პური კოდი 15 მან. სიმინდი 10 მან. ქერი 9 მან. ჩაფი ღვინო 12 მან. ხორცი ღორისა გირვ. 60 კაპ. ცხვრისა—60 კაპ. კვერცხი თითო 7 კაპ. იანდაური 8 მან. ქათამი 2—50 კაპ.

— ხალხი მეტათ უკმაყოფილო არის ახალ სისტემის სასოფლო მართვა-გამგეობისა. რამდენსამე სოფელს ერთი მამასახლისი ვერ უძლევს. ხარჯები ჯამაგირებისა კი უფრო მეტი ეხდევინებათ დღეს სოფელში გზირ-ნაცვლობაა და ნაცვალ-მამასახლისობაზე.

გორი.

— აგრონომ ქურდიანს მოუვიდა 1 ვაგონი შაქარი მაზრის მცხოვრებთათვის დასარიგებლათ.

— ქალაქს მოუვიდა 2 ვაგონი თეთრი ფქვილი. ახლა პირველ ხარისხის პური გირვანქა 13 კაპ. იყიდება.

— სოფ. ბეჭუნოს ახლოს ნახეს ქალისა და კაცის გაყინული გვამები: ესენი ყოფილან ცოლი და ქმარი მათე და მარიამ ხერხეულიძენი. მგზავრობის დროს საშინელი ცუდი დარი დასწრებიათ და სიცივისაგან გაყინულან.

თიანეთი.

სოფ. ქვემო ალვანში ყვავილი გაჩნდა. გაჩნდა აგრეთვე რაღაც მოარული, რომელმაც ბევრი იმსხვერპლა.

ზესტაფონი.

საერობო აგრონომმა რევაზ გედევანიშვილმა შორაპნის მაზრის მცხოვრებთათვის 2000 ფუთი სიმინდი შეიძინა პოფელე ქოიშკილისაგან ფუთი 3 მან. და ათ შაურათ. ბ-ნი გედევანიშვილი სხვებისგანაც ცდილობს შეიძინოს სიმინდი.

შენიშვნები

IV

ეროვნული საკითხი და ილია ჭავჭავაძე.

ტანჯვითა და ვაი-ვაგლახით იშვა საქართველოს ეროვნული იდეალი. დიდი დაბრკოლება ხვდა მას წილად, ხშირად სასოწარკვეთილების საფრთხეს სწევდა სამშობლოს სიკეთითა და აღორძინების იმედით აღგზნებულ ინტელიგენციას, მაგრამ ქურსა შიგან ნაწრთობმა აზრმა თავისი გზა არ დაჰკარგა და გამარჯვებული გამოვიდა განსაცდელიდან. სამგვარ ელემენტის წინააღმდეგ უხდებოდა ბრძოლა ეროვნულ იდეალის აღმსარებელს ჩვენში: ერთი იყო სრულიად უცხო, ხოლო ჩვენს ეროვნულ ცხოვრებაში ძალაუფლებით შემოჭრილი ელემენტი; მეორეს წარმოადგენდა ჩვენი არისტოკრატია, რომელიც XIX საუკუნეში პირდაპირ დაეცა, დაკნინდა და დაჰკარგა ცოცხალ ერის მებრძოლი ნაწილის ტემპერამენტი და სიფხიზლის უნარი; ხოლო მესამე ელემენტი იყო ჩვენის ინტელიგენციის რადიკალური ფრთა, რომელიც ცალმხრივად გატაცებულიყო რუსეთის საზოგადოებრივ მოძრაობის იდეალებით და ამ გატაცების დროს ანგარიშს არ უწევდა საქართველოს წმინდა ეროვნულ სატკივარს, რომელიც რუსეთის ბატონობის დამყარებიდანვე თან დაჰყვა ჩვენს ეროვნულ ცხოვრებას მე-XX საუკუნის პირველ 4—5 წლებში ამ ბრძოლამ განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწია. ინგრეოდნენ ძველნი ღირებულებანი, ქვეყნის განახლების იმედს შეეპყრო გუშინდელი პესიმისტიც და იმედიანობით გარემოცული შეჰყურებდა ის მომავლის მხიბლავ პერსპექტივებს. ბრძოლა სწარმოებდა უმეტესად თეორიულ დავა-უთანხმოების სფეროში, პრაქტიკული ასპარეზი იდეალის გამომხატველებისა ჯერ კიდევ ვერ შეექმნა ეროვნულ ბრძოლის გამჩაღებელ ინტელიგენციას. ამ დროს სწორედ უსწრობს პირველი არჩევნები პირველ სახელმწიფო სათათბიროში. ამ არჩევნებმა, როგორც ვიცით, ერთი სადეპუტატო ადგილი აკუთვნა ეროვნულ უფლების აღმსარებელ საქართველოს წარმომადგენელს, როგორც იყო, საქართველოში რუსეთის დამკვიდრების მე-105 ე წელს გაისმა საქართველოს ნამდვილ ტკივილების შესახებ საჯარო გულახდილი განცხადება დაკარგულ უფლების დაბრუნებისა და ახალ შეღავათთა მიღების შესახებ. მერე როგორ შეხვდნენ ამ გამოსვლას სხვა ჩვენი დეპუტატები სახელმწიფო სათათბიროში? დუმილით და მხოლოდ დუმილით... თითქოს სხვა და სხვა პოლიუსებისა და ქვეყნების წარმომადგენლებს ჰქონოდესთ ერთმანეთთან საქმე და არა საერთო სამშობლო—საქართველოდან ყოფილიყვნენ წარგზავნილნი შორეულ ჩრდილოეთში. მხოლოდ ილია ჭავჭავაძემ ზედა პალატაში მხარი მისცა სათათბიროს ობოლ გამოსვლას საქართველოს ეროვნულ უფლებების აღდგენის შესახებ. ამ მიმხრობას განსაკუთრებით იმიტომ ედება ფასი, რომ ამას სჩადიოდა არა ახალგაზდა საქართველოს ახალგაზრდა შვილი, არამედ მე-60-ცე წლების მხცოვანი მგოსანი, რომელმაც თავის ზურგზე გადაიტარა ბატონყმობისაგან გლეხთა განთავისუფლების საკითხით გამოწვეული ბრძოლა და უსიამოვნება, შემდეგშიაც ვიდრე მე-90 წლებამდე სათავეში ედგა საქართველოს გონებრივ მოძრაობას და მხოლოდ 90 წლებიდან ჩამოშორდა, ალბად, დროებით, ჩაგრულ სამშობლოს იდეიურ წინამძღოლობას და მისთვის ბრძოლით თავის გამოდებას. მე-60 წლების მოღვაწე, რომელმაც მაშინ, სხვა და სხვა საპატიო მიზეზთა გამო, ვერ შეიმუშავა დეტალები ეროვნულ იდეალისა, მეოცე საუკუნის კარზე პირწმინდად მიემხრო ახალგაზრდა საქართველოს ახალგაზდა შვილებს და მით ცხადჰყო ის არასაცილობელი აზრი, რომ საქართველოს თვითმართველობის საკითხს დიდი ილია გულში ატარებდა და მხოლოდ მოხერხებულ დროს უცდიდა, რომ მყისვე გადმოენთხია დაფარული გულისთქმისა და უებრო ზრახვის შეკავებული ბოღმა. მე-60 წლებში ქართულ ენის რეფორმატორი, საკულტურო საზოგადოებათა სათავეში მდგომი, უებრო პუბლიცისტი და შეუდარებელი პოლემისტი, მეოცე საუკუნეში წმინდა წყლის ეროვნულ მოძრაობას ემხრობა და მით ლახტს ჩასცემს იმ საზოგადოებრივ მიმართულებას ჩვენი არისტოკრატიისას, რომელიც ლოიალობასა და ხელისუფალთა წინაშე ბეც პოლიტიკის წარმოებაში ხედავდა წინდს ქართველ ერის მომავლის უზრუნველყოფისას.

ამგვარად, ეროვნული იდეალი გამონზეურდა, ქვეყანამ რამდენადმე გაიგო საქართველოს არსებითი მისწრაფებანი, მაგრამ თვით დიდი მოამაგე და მოთავე ამ საქმისა ბოროტის წერით უდროოდ და უღვთოდ განშორდა ბრძოლის ასპარეზს. ერის გადაგვარებულ და შვილთა ბილწმა ხელებმა, შეაგინეს ჭაღარა დიდის მოხუცისა და, მადლობის მაგიერ, სისხლში მოსვარეს და ტყვიით განგმირეს ღვთიური შუბლი დიდის მომაგისა. ამ სიკვდილს, სამწუხაროს და სავალალოს, მეორეს მხრით მეტად დიდი მნიშვნელობა დაურჩა ქართველ ერისათვის. ამ დღიდან საქართველოს ეროვნული მოძრაობა ფრთებს ისხამს, მცონარენი და საშუალო შეგნების ქართველნი გონს მოდიან, ემხრობიან თანდათანობით ეროვნულ იდეალებისთვის მებრძოლთა ლაშქარს, ფიცს სდებენ უკვდავ ადამიანის სამარეზე, რომ ერთმანეთს არ უღალატებენ და სხვა... მთელი ეს შემთხვევა ახალგაზდა საქართველოს ეროვნულ იდეალის დემონსტრაციად გადაიქცა,—იმზომ აუტანელი დარჩა ის დანაკლისი, რომელიც დიდის მამულიშვილის სიკვდილით ქართულ ეროვნულ ცხოვრებას დაჩნდა. ილია ჭავჭავაძე მსხვერპლი იყო ქართულ ეროვნულ უფლებათათვის ბრძოლისა, მან ბრძოლით აღნიშნა პირველი თავისი გამოსვლა მე-60 წლებში, როცა აშკარა ომი გამოუცხადა ძველ თაობას, და შემდეგ მე XX საუკუნეშიაც ბრძოლაში დალია სული. ის ემბლემაა ქართულ ეროვნულ უფლებათათვის ბრძოლისა. ამაშია მისი ძალა, დამსახურება და დაუფასებელი ამაგი მთლად ქართველ ერისათვის.

ამის შემდეგი ხანა ქართველ საზოგადოებაში ეროვნულ საკითხით უაღრესად დაინტერესების ხანად უნდა ჩაითვალოს. ი. ჭავჭავაძის სიკვდილი სტიმული იყო მიფერფლილ გრძნობათა და ფარულ ზრახვათა აღსაფეთქებლად. ის ნაღმი იყო, რომელმაც, თავის გასკდომისათანავე, უხვად მიმოაბნია გარშემო ცეცხლიანი ნაწილადები და მით შეანგრია მანამდე ყრუ და მიუსაფარი კედლები იერიქონისა. ამ დროიდან ეროვნულ საკითხს ალმაცერად აღარ უყურებენ, მხოლოდ ის პრინციპის საკითხისაგან ტაქტიკის საკითხად გამოაცხადეს. ესეც დიდი გამარჯვება იყო. ისტორიამ არა ერთი იცის იმის მაგალითი, რომ ტაქტიკური კითხვები ხშირად პრინციპის უაღრეს მნიშვნელობას ჰპოულობენ. მაგრამ ნაწილი ჩვენში „გამოშველებულ საზოგადოებრიობის" მქადაგებელ ინტელიგენციისა კიდევ უფრო შორს წავიდა და სწორედ ტაქტიკურის მოსაზრებით ეროვნული საკითხი პირველ რიგში წამოაყენა. საქართველოს განვითარების ვითარება თანდათან გვარწმუნებს, რომ, საცაა, უკანასკნელ „ურწმუნო თომამაც" უნდა აღიაროს ეროვნული უფლება საქართველოსა. ამაში ჩვენ ეჭვი არ გვეპარება. „შეთანხმების იმედი" თანდათან უფრო რეალ შესაძლებლობის ნიადაგზე სდგება. მინიმუმი განსახორციელებელ ზომათა ეროვნულ საკითხში აუცილებლად უნდა გამომუშავდეს, რათა თავი დავახწიოთ ფრიად დიდ მნიშვნელობის საქმეში სხვა და სხვა გზით სიარულსა და აქედან წარმოდგინარე ოპორტუნიზმსა და შემთხვევით განწყობილების შემქნელ გარემოებათა უგნურად ფეხის ხმის აყოლას. მაგრამ საკითხის მდგომარეობას ართულებს სულ სხვა გარემოება, რომელსაც თეორიულ დავა უთანხმოების დროს მართებული ყურადღება ვერ მიექცია. შეუძლებელიც იყო ეს, რადგან ჯერ საჭირო იყო შინაურ დაბრკოლებათა ძლევა, რომ შემდეგ გარეშე პირობებისათვისაც შესაფერი პასუხი გაგვეცა. მართალია, ამ დავა-უთანხმოებით ჩვენ დავახანეთ, მაგრამ ისიც კარგია, თუ რომ დღეს მაინც ამ გარეშესკენ ყურადღების მიპყრობას ხელს არ შეუშლის ძველი, ჩვენში დარჩენილი, ღვარძლი და უნდობლობა. ჩვენ უნდა დავძლიოთ ჩვენივე თავი, თუ გვსურს კაცობრიობის კულტურულ სალაროში გვქონდეს ადგილი, როგორც უფლებამოსილ, თვითმყოფელ და თავის ბედის თვითგანმგებ ერს.

დ. არონიშიძე.

სახელმწიფო სათათბირო

23 თებერვლის სხდომა.

სხდომა გაიხსნა დილის 11 საათსა და 55 წუთზე. თავმჯდომარეობს როძიანკო. კამათი ისევ სანოვაგის საკითხის თაობაზეა. მინისტრთა ლოჟაში, მიწად-მოქმედების მინისტრი, რიტიხია.

გოროდილოვი ამბობს, რომ დაბალმა მტკიცე ფასებმა მოჰკლეს და შეაჩერეს მთელი ვაჭრობა, მთელი მიწადმომქმედ რუსეთის მეურნეობა. ასეთ პირობებში სოფელი მხოლოდ თვის სარჩო-საბადებელს თუ მოიყვანს, თორემ მეტს არა. დაბალ მტკიცე ფასების შემოღების მიზეზად გოროდილოვი პროგრესიულ ბლოკს სთვლის, რომელმაც მისის აზრით, მცხოვრებთა ერთი კლასი მეორის წინააღმდეგ აამხედრა. შეუძლებელია, მტკიცე ფასები მარტო პურზე დააწესოთ, ხოლო უზომოდ აწეულ ფასებში ჰყიდოთ გლეხებზე უფსაჭიროესი საგნებიო.

შინგარიევი აცხადებს, რომ იგი რიტიხის გამოსვლამ ვერ დააკმაყოფილა, რადგან იგი გამოსვლა მარტოოდენ პოლემიკას და კრიტიკას მოუნდა. მინისტრმა არაფერი გვაცნობა, თუ რა ღონისძიებას დაადგება სამინისტრო სანოვაგის საკითხის მოსაწესრიგებლად, არ წარმოადგინა არავითარი გეგმა მომავალ სამოსავლო სეზონის შესახებ. მინისტრმა არაფერი სთქვა მართვა-გამგებლობის დაშლის შესახებ, მან სიჩუმეში ჩაატარა მიწადმოქმედების მინისტრთა ხშირ გამოცვლის ამბავი და არ აღნიშნა, თუ რამდენად მავნებელია სანოვაგის საკითხის მოსაგვარებლად ასეთი წესი. შინგარიევის აზრით, უადგილო იყო მინისტრის საყვედური მილიუკოვის მიმართ,—მილიუკოვმა ყალბი ციფრები წარმოადგინაო. როდესაც პურის ფასი განმტკიცდა და მის დაუდგრომლობა მოისპო, მაშინ პურმაც ბაზარზე თავისუფალი დენა იწყოო.

მინისტრი რომ მის ღონისძიებათა ნაყოფიერობას სავსებით ხალხის პატრიოტულ აღტყინებაზე ამყარებს, განა ასეთი აღტყინება რუსის სოფლებს აკლიაო? განა ამგვარ აღტყინების წყალობით არ უმკლავდება რუსეთი თვის მოსისხარ მტერს? მიწად-მოქმედების მინისტრი უარყოფითად იხსენიებს ადგილობრივს კომიტეტებს და ყრილობების წინააღმდეგია, ხოლო ამავე დროს მოითხოვს, რომ ჩვენს ხალხს მოწოდებით მივმართოთ პური ბაზარზე გამოიტანოსო. ჩვენ სხვა წინადადებით ხალხისთვის არასდროსად არ მიგვიმართავს. სახელმწიფო ძალა კი ერთნაირად უნდა ზრუნავდეს როგორც ჯარისათვის, ისე მცხოვრებთათვისაც. ტყუილად ჰგონია უფალ მინისტრს, რომ ადგილობრივი კომიტეტები და ორგანიზაციები სანოვაგის საკითხში ვერაფერს გახდებიანო. სამარის გუბერნიებში ამგვარმა ორგანიზაციებმა 25000 დესეტინა მიწა დაუთესეს 6000 მეურნეს. ტყუილად ჰგონია აგრეთვე უფალ მინისტრს, რომ სანოვაგის საკითხში პოლიტიკაც არის ჩართული. ამაში გასაკვირი არაფერია. განა სახელმწიფო სათათბირო პოლიტიკური დაწესებულება არ არის, განა სახელმწიფო ცხოვრების არსება პოლიტიკა არ არის? საკითხავი მხოლოდ ისაა, თუ როგორია ეს პოლიტიკა, კარგი, თუ ცუდი? თვის სიტყვის დასასრულში შინგარიევი ამბობს, ჩვენც მომხრენი ვართ მტკიცე ხელმწიფების გამეფებისა სანოვაგის საკითხის მოგვარებაში, მაგრამ დიქტატურის კი არაო. ამ სიტყვის საპასუხოდ განმარტებას იძლევა მიწად-მოქმედების მინისტრი.

ღია წერილი

ბ. პეტრე მირიანაშვილს.

თქვენ, ბ. პეტრე, ცხოვრების წესად გქონიათ თბილისის რუსულ ქართული გაზეთებიდან მარტოდ-მარტო „სახალხო ფურცლის" კითხვა. ამაში მარწმუნებს ის მარცხი, რომელიც საკუთარი თავისთვის მიგიყენებიათ ამ თვის 17 რიცხვს „სახალხო ფურცელში", დასტამბულ წერილით.

თებერვლის 14 რიცხვის „Закавказская Рѣчь"-ი და „საქართველოს" № 36 რომ გადაგეთვალიერებინათ, ვფიქრობ, აღარ წამოაცდებოდათ გურია-ოდიშის სამღვდელოების შესახებ ის, რასაც „სახალხო ფურცლის" თებერვლის 17 ნომერში ბრძანებთ: „საქართველოს ეკლესიის თავისუფლების საქმეში მხარი არ დაუჭერია ქართლ-კახეთ იმერეთის სამღვდელოებისათვის თანაბარი პეტიციითვე გურია-ოდიშის სამღვდელოებას, რომლის საქმეებსაც განაგებს ეპ. ლეონიდე. რა მიზეზია, არ ვიცითო", ჰსწუხართ.

ბატონო, არ იცით იმიტომ, რომ სხვა გაზეთს არა კითხულობთ, ანდა კითხულობთ, მაგრამ არ გნებავთ გაიგოთ. თბილისში ცხოვრობთ და თბილისის-ვე გაზეთში თქვენს წერილზე ოთხი დღით ადრე დასტამბული კორესპონდენცია სრულ და ცხად პასუხებით იმ კითხვებზე, რომლებიც თქვენ ვითომდა დიდათ გაინტერესებენ, ვერ წაიკითხეთ!!! არა და ესეც ვთქვათ: რომ სულაც არა დასტამბულიყო რა არც ერთს გაზეთში გურია-ოდიშის სამღვდელოების საეპარქიო კრების დადგენილებების შესახებ, ნუ თუ ეს იმდენად უთუო გარემოებად გამოგადგებოდათ, რომ უფლებას მოგცემდათ დაგეწამებინათ ის მძიმე დანაშაული, რომელსაც თქვენ თავს ახვევთ მთელის ეპარქიის სამღვდელოებას? უნდა დაგვეთანხმოთ, რომ ასეთის თქვენის მსჯელობით აქარწყლებთ და აზრს უკარგავთ ქართველი სამღვდელოებისა და ერის მეცადინეობას ავტოკეფალიის მოსაპოებლად. ავტოკეფალიას ხომ განხორციელება და განსახიერება დასჭირდება მორწმუნე ერის ცხოვრებაში და ვინ უნდა შეუწყ[illegible] თუ, როგორც თქვენ ამტკიცებთ, მთელის ეპარქიის სამღვდელოების შემადგენლობას მღვდელმთავრიანათ შეგნება არა აქვს ავტოკეფალიის საკითხისა, თუ მთელის ეპარქიის სამღვდელოების შემადგენლობა მღვდელმთავრიანათ ეთიშება თავის თანაძმებს, გამცემლობისა, ღალატისა და გაუზიდაობის გზას ვერ ასცილდება ამ საქმეში? ამაზე უარესი ვოსტორგოვსაც არა წამოუყენებია დასმულ საკითხის დასამარხად!

სიტყვები: „მარად ავტოკეფალისტობა არც განცალკევებულად ვარგა, არც მარტო გულით სატარებლად"-ო პირდაპირ ჩემ დასახასიათებლად გაქვთ ნახმარი. ნება მიბოძეთ უმორჩილესად გთხოვოთ გამოაქვეყნოთ უტყუარი საბუთები იმისა, რომ ავტოკეფალიის საკითხში მემოქმედნოს როდისმე განცალკევებით ქართველი სამღვდელოებისაგან, ან მარტო გულით მეტარებინოს იგი.

ეპისკოპოსი ლეონიდე.

ვ. გუნიას იუბილეს გამო

იუბილეს დრო. როგორც ჩვენს გაზეთში იყო მოხსენებული, იუბილე დანიშნულია კვირაცხოვლობის დღეს, 9 აპრილს, მაგრამ ჯერჯერობით საიუბილეო კომიტეტს გადაჭრილი პასუხი არ მიუღია სახაზინო თეატრის დირექციისაგან, უთმობენ თუ არა ზემოდ აღნიშნულ დღეს, რადგან ჯერ არ იციან თუ ვინ იქნება ნაადღგომევს ანტრეპრიზის მწარმოებელი.

საიუბილეო ალმანახი. სტამბა „სორაპნის" პატრონს და ქართულ წიგნების გამომცემელს მიხეილ გაჩეჩილაძეს განუზრახავს—ვალ. გუნიას პატივსაცემლად გამოსცეს „საიუბილეო ალმანახი", რომლის ხელმძღვანელობა და რედაქტორობა უკისრნია ჩვენს მხცოვან მწერალს სოფრომ მგალობლიშვილს.

ალმანახი მეტად საინტერესო შინაარსისა იქნება. განზრახულია მონაწილეობა ყველა ჩვენი მწერლებისა და მოღვაწეთა, რომელთათვისაც რედაქტორს უკვე მიუმართავს შესაფერის წერილებით.

ალმანახში დაიბეჭდება მოგონებანი, კრიტიკული შენიშვნები და რეცენზიები, წერილები თეატრისა, სცენისა და მწერლობის შესახებ, სცენები და მონოლოგები, მოსწრებული სიტყვა-პასუხები, შარჟები და კარიკატურები, თეატრისა და მწერლობის ხრონოლოგიური ცნობები და სხვა. რა თქმა უნდა, ალმანახი დასურათებული იქნება იუბილარის სურათებით სხვა და სხვა როლებში.

მთელი შემოსავალი ხარჯის გარდა გამომცემელს გადაუდვია იუბილარის ფონდის გასაძლიერებლად.

დრამ. საზ. გამგეობას დაუდგენია საიუბილეო კომიტეტს ნებადაურთველად არავის არ შეეძლოს გამოსცეს იუბილარის შესახებ სხვა და სხვა წიგნაკები და სურათები. ამ გვარ გამოცემათა შემოსავალი უნდა მოხმარდეს იმ ფონდს, რომელსაც აზრად ექნება იუბილარის სიბერისა და დაუძლურების უზრუნველყოფა.

ახალგაზრდა მხატვარი მიხ. ჭიაურელი ამ ცოტა ხანში შეუდგება ვ. გუნიას ბიუსტის (სახის) ჩამოქანდაკებას.

სემინარიელები

წარსულ საუკუნეში ქართველი ინტელიგენცია სემინარიაში აღიზარდა. მის ჩუმ კედლებიდან გამოსულმა ახალგაზრდობამ განაგო მიძინებულ ქართლის ბედი. სემინარია თავისი ღვაწლით იგივე გაგრძელებაა საქართველოს ძველ მონასტერ-აკადემიებისა. უდიდესი მისი მნიშვნელობა ქართულ ენის დაცვაა. ვგონებ, ვერც ერთმა ქართულმა დაწესებულებამ, ვერც თვით ქართულმა თეატრმა ვერ შესძლო ენის სუფთათ დაცვა, როგორც ეს შესძლო ჩვენმა სემინარიამ. სემინარია ნამდვილი ეროვნული სასწავლებელია და აქ იპოვით: ქართლელს და კახს, გურულს და იმერს, მეგრელს და რაჭველს, თუშს და ფშავს, ხევსურს და ინგილოს, სვანს და აფხაზს. აქ ერთმანეთს ეცნობიან საქართველოს სხვა და სხვა კუთხის შვილები, აქ, მათს შორის დგება პაწია, მაგრამ მთლიანი საქართველო, აქ, მათ შორის იბადება მთლიან სამშობლოს შეგნება, აქ მეტის ცეცხლით ღვივდება სამშობლოს სიყვარული და აღსანიშნავია ისიც, რომ მარქსის სწავლა-მოძღვრება სემინარიის ზღუდეთა შორის ფეხს ვერ იკიდებს.

მერმის სრულდება სემინარიის არსებობის ასი წელი, მერმის უნდა შეიკრას მისი ასის წლის ჯაჭვი და ვინ იცის, რამდენი შესანიშნავი და მოელვარე რგოლია ამ ჯაჭვში, რამდენი ბრწყინვალე მარგალიტი დაითვლება ასი წლის ჯამში? დღეს, ამ სასწავლებლის მეთაურია დეკ. კორ. კეკელიძე, ცნობილი საეკლესიო მეისტორიე; დღეს აქ მამობრივად მუშაობს საყვარელი ბელეტრისტი ვასილ ბარნოვი, აქ მასწავლებლობს ჩვენი მწერლობის მკვლევარი ივ. ვართაგავა, აქ ტრიალებს ძვირფასი მემუსიკე ია (კარგარეთელი). აქვე არიან სხვა ქართველებიც, რომელთაც გული შესტკივათ საქართველოს საქმისთვის.

პანსიონს დიდი მნიშვნელობა ჰქონ-

და სემინარიელთა ცხოვრებაში, მაგრამ იგიც მოისპო, როდესაც სემინარიის შენობა, სამხედრო ჰოსპიტალმა შესცვალა. პანსიონის არსებობის დროს მათს მუშაობასაც სხვანაირი ელფერი ჰქონდა. მაშინ გატაცებით სწავლობდნენ მეცნიერების ანუ ხელოვნების ამა თუ იმ დარგს; დღეს კი მათი მუდმივობა დაირღვა და ისინი ან ბინის ძებნას ან კოოპერატიულ დუქნების ჯერში ჩადგომას უნდებიან, მიუხედავად ათასნაირ წვალებისა, მათ არა ჰსურთ ჩამორჩნენ ჩვენს კულტურულს ცხოვრებას და ჰსურთ ერთი ყვავილით, მათაც დაამშვენონ ნ. ბარათაშვილის შუბლი.

დღეს, საიმპერატორო სამუსიკო სკოლის საკონცერტო დარბაზში ჰმართავენ ისინი სალიტერატურო-სამუსიკო საღამოს.

მართალია, იგინი ვერ მოგვხიბლავენ არტისტობით და ესთეთიკით, მაგრამ გვაჩვენებენ ქართულს შეუბღალავს სულს, საღს სახეს, უტეხ სურვილს.

დღეს ისინი ჩვეულებრივის სიმორცხვით გაგვესაუბრებიან და „ვისაც ყური ასხენ—ისმინენ!"

ელა ნიორელი.

ახალი გადასახადი შემოსავალზედ

(1916 წლის, 6 აპრილის კანონი)

1891 წელს, როდესაც რუსეთმა ფრიად დიდი მოუსავლობა განიცადა, აზრი დაიბადა შემოეღოთ გადასახადი შემოსავლის მიხედვით. საფინანსო სამინისტროს პროექტს თანახმად, განზრახული იყო [illegible] შემოსავლის ზომადა, საფეხურად დანიშნულიყო 1000 მან., რომლის ნაკლებ შემოსავალზედაც არ ვრცელდებოდა გადასახადი.

გადასახადის რაოდენობა უნდა ალნუსხულიყო პროგრესიულის წესით, ე. ი. თუ ათას მანეთიანი შემოსავალი ხდებოდა 1 პროც., ყველა შემდეგი ასეული მანეთი მატულობდა 0,01 პროცენტს ვიდრე 4 პროც.—30 ათას მან. შემოსავალზედ, ხოლო ამ შემოსავლის ზედმეტზედ პროგრესიის ნორმა სუსტდებოდა და თავდებოდა 5 პროცენტით—100,000 მანეთიან შემოსავალზედ—ამაზედ ზედმეტი შემოსავალი კი ხდილობდა პროპორციონალურად.

ეს პროექტი უარყოფილ იყო თითქმის ყველა უწყებათაგან, რადგან ყურადღებს ის გარემოება, რომ რუსეთში სჭარბობს წვრილი შემოსავალი შედარებით მსხვილთან და მთავრობისგან გაწეული ხარჯი თითქმის ვერც კი ანაზღაურდებოდა, რის გამოც გადასახადი შემოსავლის მიხედვით უარჰყვეს და მის ნაცვლად შემოღებულ იქმნა ბინის გადასახადი.

მეორე სათათბიროში კვლავ იყო წამოყენებული შემოსავალზედ გადასახადის შემოღების საკითხი. მაგრამ აქ საფინანსო კომისიათა ფარგლებში განხილვას ვერ გასცილდა. მარტო მეოთხე სათათბირომ შესძლო, როგორც იყო, შეედგინა შესაფერისი კანონ-პროექტი და გადაეცა სახ. საბჭოსათვის განსახილველად. დიდხანს იმოგზაურა ამ კანონ-პროექტმა ხალხის წარმომადგენელთა ერთ პალატიდგან მეორეში და, დიდ ჭიპან-წყვეტის შემდეგ, როგორც იყო, შეთანხმებულ რედაქციით მიღებულ იქმნა 1916 წლის ორ აპრილს, ხოლო ამავე წლის 6 აპრილს—უმაღლესად დამტკიცდა, შემოსავლის გადასახადის კანონი. როგორც გადასახადი, შემოსავლის გადასახადი—დამატებითია უკვე არსებულ გადასახადებთან. იგი—საყოველთაოა, მთელ რუსეთის იმპერიაზედ ვრცელდება, ფინლიანდიის გარდა. უცხოელნი და ფინლიანდიელები იხდიან ამ გადასახადს, თუ რუსეთის მიწა-წყალზე ერთ წელიწადზედ მეტსა ცხოვრობენ. შემოსავლის წყაროდ, რომელსაც უნდა მიეწეროს გადასახადი, ითვლება: რუსეთში მდებარე უძრავი ქონება, რუსეთის ბანკებში შენახული კაპიტალი, ჯამაგირები, პენსიები და ერთდროული დახმარებანი, რომლებიც ხაზინიდან ეძლევათ, ყოველნაირ შრომის საფასური, პროფესიონალ მუშაობით მონაგარი და სხ.

გადამხდელ სუბიექტად, საზოგადო კანონით, ითვლება არა ოჯახი, არამედ ყოველი წევრი მისი, იმ ოჯახთა გარდა, სადაც, ადგილობრივის სამართლის მიხედვით, მეუღლეთა საცხოვრებელი განუყოფელია. გარდა თვითეულ პიროვნებისა, ამ გადასახადს იხდიან წოდებრივი, საზოგადოებრივი და სახელმწიფო ორგანიზაციები როგორც, მაგ. სადუღლისწულო, თავადაზნაურთა, ვაჭართა, ხელოსანთა და სხვ. საზოგადოებანი და აგრეთვე სასულიერო-სარწმუნოებრივი დაწესებულებანი.

გადასახადისგან თავისუფალნი არიან როგორც სოფლის საზოგადოებათა, აგრეთვე საერობო, საქალაქო, საქველმოქმედო და წვრილი კრედიტის საზოგადოებათა შემოსავალნი.

გადასახადის ობიექტად, წყაროდ ირიცხება ყველანაირი შემოსავალი—ერთ საერთო შემოსავლის ჯამში მოქცეული, ხოლო ამ ჯამს აკლდება პირდაპირი სახელმწიფო, საქალაქო, ადგილობრივი გადასახადების რაოდენობა, საპენსიო, დამზღვევ, სამარხ და საგირავნო კასსებში აუცილებლად შესატანი თანხა. ამ გვარათ, რჩება წმინდა, რომლის რაოდენობაც უნდა იყოს არა ნაკლები 850 მანეთისა. ეს არის ის საფეხური, რომლიდანაც იწყება გადასახადი შემდეგის სათვალავით:

შემოსავალი.	გადასახადის რაოდენობა.
850 მანეთიდან ვიდრე 990 მანეთამდე	6 მ.
900 მანეთიდან ვიდრე 1,000 მანეთამდე	7 „
1,000 მანეთიდან ვიდრე 1,100 მანეთამდე	8 „
1,100 მანეთიდან ვიდრე 1,200 მანეთამდე	9 „
2,000 მანეთიდან ვიდრე 2,300 მანეთამდე	25 „
2,300 მანეთიდან ვიდრე 2,600 მანეთამდე	31 „
2,600 მანეთიდან ვიდრე 2,900 მანეთამდე	38 „
2,900 მანეთიდან ვიდრე 3,200 მანეთამდე	45 „
5,000 მანეთიდან ვიდრე 5,500 მანეთამდე	116 „
5,500 მანეთიდან ვიდრე 6,000 მანეთამდე	132 „
10,000 მან-დან ვიდრე 11,000 მანეთამდე	352 „
11,000 მან-დან ვიდრე 12,000 მანეთამდე	408 „
15,000 მან-დან ვიდრე 16,000 მანეთამდე	672 „
16,000 მან-დან ვიდრე 17,000 მანეთამდე	748 „
20,000 მან-დან ვიდრე 21,000 მანეთამდე	1,061 „
30,000 მან-დან ვიდრე 31,000 მანეთამდე	1,721 „
40,000 მან-დან ვიდრე 45,000 მანეთამდე	2,813 „
50,000 მან-დან ვიდრე 55,000 მანეთამდე	3,658 „
100,000 მან-დან ვიდ. 110,000 მანეთამდე	9,020 „

ამ რიგათ, შედარებით, თვითოეული მანეთი უმაღლეს საფეხურისა პროცენტულად მეტს იხდის, ვიდრე თვითოეული მანეთი დაბალ საფეხურისა. გადამხდელის თხოვნით, შეიძლება მას შეღავათი მიეცეს გადასახადის შემცირებით, თუ იგი ან მისი მახლობელნი, მასთან ოჯახში მცხოვრებნი, ან ავადმყოფობენ, ან მცირე წლოვანნი არიან, და ეს გარემოებაც, რასაკვირველია, შესაფერისად უნდა დამტკიცდეს.

რაც შეეხება შემოსავალზედ გადასახადის შემოღების პრინციპულ მნიშვნელობას, უნდა ვსთქვათ, რომ მას, გადასახადთა სისტემაში ფრიად საგულისხმო ადგილი უჭირავს, ვინაიდგან გადასახადის უღლის სიმძიმე უფრო საგრძნობლათ აწვება შეძლებულ კლასთა წარმომადგენელთ (რასაკვირველია, პროგრესიული სათვალავით) და ეს კი განხორციელებაა იმ მცნებისა, რომელსაც სამართლიანობა ეწოდება.

ივ. ნახიძე.

† ალექსანდრე სისაური

(ნეკროლოგი)

ამ თვის 2 სოფ. საბუეში მოჰკლეს ცნობილი ახმეტელი მემამულე და აგრონომი ალ. მათეს ძე სისაური. განსვენებული მღვდლის შვილი იყო. მამამისმა მიუხედავად მრავალის დაბრკოლებისა და უსახსრობისა, თავის შვილს შესაფერი სწავლა მიაღებინა. თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლის გათავების შემდეგ ა. ს. წავიდა საზღვარ გარეთ. უმაღლესი საგრონომო სწავლა დაამთავრა საფრანგეთში და შემდეგ დაჰყო რამდენსამე ხანს გერმანიასა და შვეიცარიაში.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ რამდენიმე თვე დაჰყო სამსახურში, მაგრამ სამსახურს მალე თავი დაანება და დაუბრუნდა თავის დედულ-მამულს. აღსანიშნავია, რომ განსვენებულის აზრის გამაზიარებელნი ჩვენში, ჩვენდა სამწუხაროდ ცოტანი გვყავანან. უმეტესი წილი ჩვენის მემამულეებისა, როგორც მეოცე საუკუნეში, აგრეთვე უფრო უმეტესად მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, შორს გაურბოდნენ გაფართოებას, გამშვენიერებას და შემუშავებას თავის მამულებისას და ჰყიდდნენ კიდეც ამ უძვირფასეს განძს. სულ სხვა იყო განსვენებული. იგი მამა პაპურ მამულს დაკლების მაგივრად უმატებდა და ამუშავებდა მას მრავალგვარად. ალ. სისაური მომეტებულად და თითქმის მუდმივად სოფ. ახმეტაში სცხოვრობდა, თუმცა თბილისშიაც ჰქონდა მამული და სახლკარი.

ახმეტაში იგი მონაწილეობას იღებდა წვრილ კრედიტთა ამხანაგობის განყოფილებაში, რომელსაც უკანასკნელათ სხვა და სხვა მიზეზების გამო თავი დაანება. ახმეტის მახლობლად საბუეში მას ჰქონდა 500—600 დღიური ტყე, სადაც სცხოვრობენ ოსები. და აი, როდესაც იგი თავის მხარეს (მის ტყეში აღმოჩნდა საუკეთესო თვალსაჩინო ნავთი, ქვის ნახშირი, ფარფორის მიწა და სხვ.), ნათესავებს, დებს და მოხუცს მამას და აგრეთვე თავის თავს, „განუმზადებდა ჟამთ-კეთილობას", იგი დაუნდობლად, ანგარიშ-გაუწევლათ და ულმობლად გამოასალმეს წუთისოფელს ბოროტგანმზრახველებმა. როგორც დანამდვილებით გვეგეთ, პოლიციას უკვე შეუპყრია ალ. ს. პირადი მკვლელები, ყაჩაღად გავარდნილი ოსები ხევსურები, რომლებსაც აღმოუჩენიათ მისი სისხლიანი ნაბადი. საბუეში, სადაც იგი მოჰკლეს, წასულიყო დილით, მის მოიჯარადრე-ოსების დაჟინების წყალობით, მუშებთან ანგარიშის გასასწორებლათ. თავის საქმის მოწესრიგების შემდეგ, სახლში რომ ბრუნდებოდა, ჩასაფრებულთ დაეშინათ ტყვია, სწრაფად გადმოვარდნოდა ცხენიდგან, რომელიც აგრეთვე დაეჭრათ წინა ფეხში, ისე რომ საწყალს ვერც კი მოესწრო რევოლვერის ამოღება და ხმარება. სამწუხაროა კიდევ ის ამბავი, რომ ალ. ს. მოკვლა ბრალდებათ იქაურ რამდენიმე მოინტელიგენტო ადამიანს, რომლებსაც შეუსყიდნიათ ამ სისაძაგლის სისრულეში მოსაყვანათ უკვე დაჭერილი ხევსურები.

საუკუნოთ იყოს ხსენება შენი, დაუვიწყარო მშრომელო.

თ. კახიშვილი.

ეკონომიური ცხოვრება

მომხმარებელი კოოპერატივები. სასურსათო საქმის მეტის-მეტად არევდარევამ რუსეთში დიდათ ხელი შეუწყო მომხმარებელ საზოგადოებათა გავრცელებას. მთელს რუსეთში 1914 წელს 1 იანვარს ასეთი კოოპერატივი იყო 10.900 სამას მილიონის ხარჯთაღრიცხვით. 1917 წ. 1 იანვარს ასეთ კოოპერატივთა რიცხვი 20.000 სჭარბობს და მათი ბალანსი მილიარდ მანეთს ასცდა. ამავე დროს შესდგა ასეთ საზოგადოებათათა სარაიონო შეკავშირებანი. მაგრამ მოხმარებელ საზოგადოებათა მოღვაწეობა ფრიად შეზღუდული იყო ბაზარზე საქონლის შემცირებითა და მის ფასების ზედმეტ ცვალებადობით. ამის გამო ზოგიერთ რაიონებში მომხმარებელი ამხანაგობები საკუთარ წარმოების მოწყობას სცდილობენ. ასე, მოსკოვის მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირმა მოაწყო საკუთარი ერბოს სახდელი ქარხნები, ასანთის ქარხანა და წისქვილი. ბაიკალის კოოპერატივთა კავშირს განზრახვა აქვს საპნისა და ტყავეულობის გადასამუშავებელ ქარხნების მოწყობა.

—

ვოლგა-ბალტიის არხი. ამ ჟამად უკვე შემუშავებულია პროექტი მდინარე ვოლგისა და ბალტიის ზღვის არხით შეერთების შესახებ. ეს არხი იქნება სიგრძით 665 ვერსტი და მდინარე ვოლგას მდ. ნევის შემწეობით ბალტიის ზღვას შეუერთებს. ამ არხის განხორციელება 120 მილიონ მანეთად დაჯდება.

—

ქაღალდის ფული. თებერვლის მეორე კვირაში გამოცემულ იქმნა 110 მილიონ მანეთის ქაღალდის ფული. სულ დღემდე 9,672,994,167 მანეთის ქაღალდის ფულია გამოცემული.

—

საწვავი მასალა. რუსეთის ზოგიერთი კუთხე საწვავი მასალის დიდს ნაკლულევანებას განიცდის. მოსკოვში შესდგა ვაჭარ-მრეწველთა ყრილობა ამის შესახებ ტრეტიაკოვის თავმჯდომარეობით. პროფ. პ. ნოვგოროდცევმა წაიკითხა მოხსენება, რომელმაც ნათელ ჰყო, რომ რუსეთს სავსებით საკმაო საწვავი მასალა მოეპოვება, როგორც ქვა-ნახშირი, ისე ნავთი, მხოლოდ თუ მრეწველებს აკლიათ, ეს იმით აიხსნება, რომ მისი გადატან-გადმოტანა გაძნელებულია: ყრილობამ დაადგინა შუამდგომლობის აღძვრა საწვავ მასალის გადაზიდვის მოწესრიგების შესახებ.

—

ბანკებში მიბარებული ფული. საკომერციო ბანკთა, საურთიერთო და საზოგადო საკრედიტო დაწესებულებათა ცნობებით 1 იანვარს 1917 წ. რუსეთის ბანკებში მიბარებულ ფულის რაოდენობა აღწევს 7,566 მილიონ მანეთს. მხოლოდ 1916 წ. განმავლობაში ბანკებს მიემატა 3,220 მილიონი მიბარებული თანხა.

—

გირავნობის ფურცლები—თბილისის სადგილ-მამულო სახაზინო ბანკის გირავნობის ფურცლები პეტროგრადის ბირჟაზე ფასობს 86 მან. 75 კაპ. ქუთაისისა—79 მან. 75 კაპ. თბილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოების—87 მან. 25 კაპ.

დაბა-სოფლები

სოფ. თორტიზა (გორის მაზრა). 1917 წელს 24 იანვარს კარალეთ-თორტიზის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის დარბაზში წვრილ კრედიტის ინსპექტორის ბ. ან ვ. გრიგოლიას თანადასწრებით მოხდა წლიური საზოგადო კრება.

კრება გახსნა გამგეობის თავმჯდომარემ ალ. ალ. ქარუმიძემ და ისაძინა, რადგანაც დღევანდელ კრებას დაესწრო წევრთა უმრავლესობა, იგი კანონიერია და წინადადება მისცა აერჩიათ თავმჯდომარე; ერთხმად არჩეულ იქმნა ამხანაგობის წევრი ნ. ი. გარსევანიშვილი; განხილულ და დამტკიცებულ იქმნა 1916 წლის ანგარიში. წმინდა მოგება 3399 მან. 24 კ. განაწილებულ იქმნა შემდეგის წესით: 1) საკუთარ თანხაში 1450 მან.; 2) სათადარიგო თანხაში 350 მ.; 3) საკუთარ შენობის ასაგებ თანხაში 1000 მ.; 4) სხვა და სხვა დანიშნულებისთვის 500 მან.; 5) ქართველთა შორის წერა-კით. გამ. საზოგ. გორის განყოფილებას 50 მ.; 6) გორის „მანდილოსანს" 49 მან. 24 კ. სულ 3399 მ. 24 კაპ.; გამგეობის მიერ წაკითხულ იქმნა ვრცელი მოხსენება გირავნობითი ოპერაციების შესახებ. გამოირკვა-რა მიუცილებელი საჭიროება ამისა, გადასწყდა: დაევალოს გამგეობას და საბჭოს შეიმუშაოს ზედმიწევნით წესები და წარედგინოს დასამტკიცებლად წვრილ კრედიტთა კომიტეტს; გადაწყდა, რომ წევრთა პირადი ნდობა გადიდებულ იქმნას 500 მან. უგირავნოთ და გირავნობით 1000 მან.; წევრნი ამხანაგობისა შეეხნენ რა სასურსათო საკითხს, გამოირკვა დიდი გაჭირვება და თითქმის სიმშილობა მთელის რაიონისა, რომელშიაც შედის 22 სოფელი 1500 კომლით და გადასწყდა გაიგზავნონ ჰირნახულის შესაძენად ჩრდილო-კავკასიაში გამგეობის თავმჯდომარე ალ. ალ. ქარუმიძე და თ. გ. დ. ჯავახიშვილი. მეოთხე გამგეობის წევრად არჩეულ იქმნა ა. იაკობის ძე ქარუმიძე. ი. თ. ბერძენი ხელმეორედ აირჩიეს; საბჭოს წევრებად არჩეულ იქმნენ თ. გ. დ. ჯავახიშვილი, ნ. ი. გარსევანიშვილი, ა. რუსიტაშვილი, ალ. მატბერაშვილი და ი. გერმანაშვილი, კანდიდატად პ. გაგნიძე.

ხარჯთ-აღრიცხვა 1917 წ. დამტკიცდა შემდეგნაირად: გამგეობის თავმჯდომარეს 80 მ. თვეში, ხაზინადარს 50 მ.; ორ გამგეობის წევრთ 30 მან. თითოს; მოსამსახურე კაცს (სტოროჟს) 15 მან.; საბჭოს წევრებს სხდომებზე თავმჯდომარეს—3 მ., წევრებს 2 მან. თითოს. წარმოება საქმეებისა კვირაში სამი დღე: პარასკეობით, შაბათობით და კვირაობით. თორტიზის მემამულეებმა ქარუმიძეებმა და ორჯონიკიძეებმა გამოსთქვეს სურვილი, რომ ისინი მზად არიან შესწირონ ამხანაგობას საკუთრებად ადგილი მდებარე შუა სოფელში ზომით 1000 ოთხკ. საჟენი, შენობის ასაგებად. კრებამ მადლობით მოისმინა წინადადება და დაავალა გამგეობას კანონიერად დაიმტკიცოს შემოწირული ადგილი. იმედია, რომ ამ მაგალითს მიბაძვენ ის მემამულენიც, რომლებიც კრებას არ დაესწრნენ და თავიანთ ხვედრ წილს ადგილისას შემოსწირავენ ხალხისათვის ამ ფრიად სასარგებლო საქმეს; ეთხოვოს სახელმწიფო ბანკს მოკლე-ვადიან სესხის გადიდება 60,000 მან. საზოგადო კრებამ წევრად მიიღო ი. დ. ქარუმიძე და თ. გ. დ. ჯავახიშვილი.

კრებამ მიანდო გამგეობას და საბჭოს, თუ საჭირო იქნება, მოიწვიონ კაცი განსაკუთრებულის ხარჯით საქმეების საწარმოებლად.

დასასრულ, კრებამ დიდი მადლობა გამოუცხადა წვრილ კრედიტის ინსპექტორს ბ. გრიგოლიას, გამგეობას და კრების თავმჯდომარეს ნ. გარსევანიშვილს.

დამსწრე.

წერილი რედ. მიმართ

ვინ იყო 1832 წლის შეთქმულობის გამცემი თ. ევსეი იოსების ძე ფალავანდოვი?

ბ-ნი ქ. რაჭველი „სახ. ფურც."-ში „საქართველოს საკითხში" იხსენიებს თ-დ ევსეი ფალავანდოვს მოღალატედ. ამასვე ამბობს ბ-ნი ზ. ჭიჭინაძე „სახ. ფურცლის" № 804 და „საქართველოს" № 43

ეს მოღალატე თ-დი ფალავანდოვი არ ეკუთვნოდა აწ არსებულ თ-დ ფალავანდიშვილების მოდგმას, ის იყო გვარად მიქაძე და ამის დასასაბუთებლად „საქართველოში" მოვათავსებ ვრცელ წერილს.

დუშიკო ფალავანდიშვილი.

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი

ამიერ-კავკასიის რკ. გზის მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

თბილისიდან გადის				
ბათუმისკენ	საფ.	№ 3,	11.03	დილ.
„	სამგზ.	№ 9,	10.33	საღ.
ბორჯომისკენ	სამგზ.	№ 19,	3,20	დღ.
„ „		№ 17,	8.27	დილ.
გორისაკენ	სამგზ.	№ 61,	9.10	დილ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	11.13	დილ.
„	სამგზ.	№ 8,	3.54	დღ.
„	საფ.	№ 4,	9.28	საღ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4-8,	11.13	საღ.
თელავისაკენ		№ 4,	8 „ 58 „	დილ.
თფილისში მოდის:				
ბათუმიდან	სამგზ.	№ 10,	9.52	დილ.
„	საფ.	№ 4,	8.38	საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.43	დილ.
„	სამგზ.	№ 18,	10.12	საღ.
გორიდან	სამგზ.	№ 62,	6.34	საღ.
ბაქოდან	საფ.	№ 3,	10.08	დილ.
„	სამგზ.	№ 7,	4.12	საღ.
„	ჩქარ.	№ 5,	8.48	საღ.
თელავიდან		№ 3,	6.24	საღ.
ყარს-ჯულფ.	საფ.	№ 3***,	8.10	დილ.

ხილეული, მადნეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: **მოითხოვონ და სვან ყოველთვის მხოლოდ მიტროფანე ლაღიძის** და ამხ-ს ქარხნის საუკეთესო ხილეულ მადნეულის **ნამდვილი სამკურნალო** წყალი და გაუფრთხილდენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გახშირებულია და ხშირად შეცდომაში შეჰყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების **ყალბი** ეტიკეტების მიმსგავსებით **ნამდვილი ლაღიძის წყლის** ეტიკეტის ნიშანი შემდეგია

ქართულად თავმორთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო **სამრეწველო მინისტრის** მიერ პეტროგრადში ❧ თვით პრობკებსაც აწერია

„ლაღიძის წყალი"



მხოლოდ და მარტო ლაღიძის წყალია მომზადებული სრულიად უვნებელის მაღალი ღირსების მასალებისაგან, ნამდვილი და საუკეთესო ხილის წვნით და მასთანვე

სუნი და გემოც საამური აქვს

წლ.

თევზის მრეწველნი

ძმ. ძეძველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. **„ლ. მაილოვის-შვით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა,** მცირე მარილიანი, შავი **„მეშოჩნი"** ხიზილალა. მივიღეთ საუკეთესო სალიანის **შამაიები** მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

სუსუნატით (კონორეა) ავადმყოფებს,

რომელთაც მრავალხნის განმავლობაში დიდძალი ფული დაუხარჯნიათ, მაგრამ თავის ავადმყოფობისათვის ვერა უშველიათ-რა, ეხლა საშუალება აქვთ საბოლოოდ განთავისუფლდნენ მისგან, თუ შეიძენენ ცნობილ საშუალებას „ურიტალს", რომელიც სულ ცოტახანში არჩენს **გაარჯლებულ და ქრონიკულ სუსუნატს** საშარდე ბუშტისას, ჭაჭებისას და სხვ.

რატომ

ზოგჯერ ავადმყოფები ყურადღებას არ აქცევენ ავადმყოფობას და იგი მთელს ტანში ვრცელდება?

იმიტომ, რომ,

ჯერ ერთი, დღეს დიდი კრიზისია წამლებისა.

მეორედ, იმიტომ, რომ მართლაც ძნელია ნამდვილ, რადიკალურ საშუალების გამონახვა.

მაგრამ ყველა ავადმყოფმა, ქალი იქნება თუ ვაჟი, უნდა შეიძინოს უებარი **„ურიტალი"**. სპეციალისტ-ექიმების დიდი ხნის გამოცდილებამ, აგრეთვე პროფესორებისამ, დაამტკიცა, რომ

ურიტალი

ნამდვილად არჩენს სუსუნატს. თითო ფლაკონი ღირს 3 მან. 50 კაპ. მთლად მოსარჩენათ ახალი ავადმყოფისათვის საჭიროება ექვსი ფლაკონი და ძველებული ათი ფლაკონი სხვ. ქვეყნებში იგზავნება 5 მანეთის ბეის მიღების შემდეგ.

შეკვეთა და ცნობების მიღება შეიძლება მხოლოდ **პარიზის საფარმაცევტო ლაბორატორიის თბილისის განყოფილებაში: თბილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა, № 16, განყ. 6—1, სახელმწიფო ბანკის პირდაპირ.**

За заказами и **справками** обратиться въ **Тифлисское Отдѣленіе Парижской-Фармацевтической Лабораторіи Тифлисъ, Лорисъ-Меликовская, № 16, отд. 6—1**, напротивъ Государственнаго Банка.

სტამბა „ცხოვრება" ა. კილანდაძისა, გაზეთის შესახვევი № 4